სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 10 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 142 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 142

ქართველი საგანგებო ბატალიონის ოფიცრები და ჯარისკაცები ულრმესი მწუხარებით აცხადებენ, რომ ს. ხოსტაში (სოხუმის ოლქი) ჩვენი ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში 5 ივლისს გმირულად დაიღუპნენ სამშობლოს და რევოლიუციისთვის თავდადებულნი:

პორუჩიკი **ვლადიმერი ფირცხალავა,** პრაპორშჩიკი **კონსტანტინე მასხულია,** ჯარისკაცები: **ანტონი ტაბიძე, გრიგოლ კუხალეიშვილი, ვარლამი გამყრელიძე, ლევან ჯალაღანია, ნესტორი მიმინაიშვილი, კალისტრატე პორძახია, ბესარიონი გაანგიძე.**

პანაშვიდი ხუთშაბათს 11 ივლისს დილის 11 საათზე ბატალიონის ბინაზე, გუდოვიჩის ქუჩა № 21. (2—1)

გულ დათუთქული მშობლები: ქრისტინე და პახვილ, ძმები: ელიზბარ და ტარასი მასხულიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 5 ივლის ს. ხოსტაში (სოხუმის ოლქი) რევოლიუციონურ მოვალეობის ასრულების დროს ბოლშევიკებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა პრაპორშჩიკი

**კონსტანტინე (კუკუ) პახვილის ძე**
**მ ა ს ხ უ ლ ი ა**

რომელიც მსახურებდა თფილისის საგანგებო ბატალიონში. მიცვალებულის ცხედარს ჩამოასვენებენ აბაშაში (სამეგრელო), დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 11 ივლისს, ნაშუადღევის 3 ს. ს. აბაშაში. (2—1)

თფილისის მ. და ჯ. საბჭოს აღმ. კომიტეტის საგანგებო რაზმი აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ გუდაუთის უსწორო ბრძოლაში 18 ივნისს გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე საუკეთესო რაზმის წევრები

**სანდრო თოფურია**
**და**
**მანასე ჩხაიძე**

რომლებიც რაზმმა გაასვენა თავიანთ სამშობლოში.

ღრმად დამწუხრებული ნიკიფორე მიხ. სარჯველაძე, მეუღლე მისი მატრონე, დედა ელისაბედ, შვილები: ვასილი და გაცია, ძმები: იპოლიტე და იაკინთე, და მართა და სიძე ვალოდია ქადიეშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარი შვილის, მეორე შვილიშვილის, მესამენი დის და მეოთხენი ძმის შვილის დაუვიწყარ

**ნ ი ნ ა ს**

უდროვოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა შაბათს 6 ივლისს სოფ. ნიგოითის წმ. გიორგის ეკლესიაზე. (1—1)

მწუხარებით გულმოკლული მშობლები; მამა დეკანოზი არსენ თოხაძე და დედა მარია დიმიტრის ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 11 ივლისს დილის 9 საათზე ქუთაისის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის შვილის

**ეკატერინე არსენის ასულის თოხაძის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

**დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდში"**

ოთხშაბათს 10 მკათათვეს 1918 წ. „ქართველ მომღერალთა გუნდი"

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით მართავს 3 გამყოფილებათ

**სახალხო კონცერტს**

გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს გადაღებული ძველ მუსიკოსების მიერ და სხვათა შორის „თამარ ქალი"-ს. მონაწილეობენ ძმანი კავსაძენი. ლ. ჯანდიერი, ი. სალირაშვილი, ი. უსტიაშვილი და სხვ. დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება კასაში. დაწვრილებით პროგრამებში.

(1—1) გამგე ნიკო კავსაძე.

**გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას თან მოყვა აგრეთვე**

**სამეურნეო განყოფილება**

რომლის ბიურო მოთავსებულია გრიბოედოვის ქ. № 18-ში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღეებს გარდა) დილის 11—12 ნახ. საათამდე. (4—4)

**თფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენებზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და სამე რიგისა 50 მან, ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნულია 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ახ. ავტომობილების და ცხენების პატრონთ, თფილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს. (3—1)

## სიკვდილით დასჯის კანონის გამო

„სოციალდემოკრატს" ამწვენებენ ის მხანაგები, რომელთაც ყელში დანასავით გახჩერიათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება: ისინი აქამდე ყოველ წუთს იმის მტკიცებაში იყვენ, რომ ეს რესპუბლიკა ვერ იარსებებს, რომ იგი ლატაკია, რომ იგი სხვისი სარჩენია, რომ მას თურმე რუსეთი სამოწყალოთ ინახავდა. და ყველა ეს ასეთ „მეცნიერულ" ფორმებში იყო გახვეული, რომ გეგონებოდა, ამ ხალხს მართლა სურს საქართველოს ხსნა და მთელი თავის მეცნიერული არსენალით აფრთხილებენ კლდეში გადაჩეხისგანო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთ გაფრთხილებას—ერთი იოტის ოდენა მოსაზრებაც კი არ ქონია სოციალდემოკრატიულ მოძღვრებიდან: სოციალდემოკრატია არ უარყოფს დამოუკიდებლობას. პირიქით იგი უარყოფს ძალით დაპყრობას და ძალით სხვა სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევას რომელიმე პატარა ერისას.

ახლა ამ თემის რამდენიმე მოძველების გამო—სოციალისტურ მთავრობის ახალ ნაბიჯებს დაუწყეს კრიტიკა.

კრიტიკა—წმინდა საქმეა. და ჩვენ აბა რა უნდა გვქონდეს წინააღმდეგ კრიტიკის.

მაგრამ... გ. ვ. პლეხანოვმა იცოდა, არის კრიტიკაც და კრიტიკაც.

ზოგი კრიტიკა მხოლოდ იმისთვის ითხზება, რომ მოწინააღმდეგეს როგორმე სახელი გაუტეხოს. ზოგს კი მართლა მარქსიზმის თეორიულ და პრაქტიკულ სიწმინდის დაცვა აქვს ხედველობაში.

მაგ. „დ. გ." ეს გამობრძმედილი მარქსისტი ასეთ პათეტიურ სიტყვებით ათავებს თავის წერილს სიკვდილით დასჯის შესახებ:

„ყველა ამხანაგებს, რომელთაც არ დაუკარგავთ აზრის სინათლე და განსაკუთრებით ისტორიული წინმსვლელობა, მე მივმართავ მხურვალე ამხანაგური მოწოდებით: გამოფხიზლდით, შეჩერდით! ნუ სჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ზიხართ". ჩვენ ასე ამგვარათ, გადავდგომივართ მარქსიზმს, დაგვიკარგავს ნათელი აზროვნება და დ. გ. გვასწავლის.

ასეთია უბადრუკი ჩვენი დრო! ვინ გინდა და ვინ არა, ყველა ჩვენი ჭკუის სწავლებას მოდგა მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკა გამოვაცხადეთ და მას მტრებს არ ვაქელვინებთ.

ჩვენი უდიდეს ნაკლათ ბ-ნი დ. გ. რასაკვირველია სიკვდილით დასჯის კანონი მიაჩნია. ცა და დედამიწა წარვალს, მაგრამ ეს კანონი დარჩებაო. ასე ღაღადებს ეს ორტოდოქსი. მახსენდება გ. პლეხანოვის წერილი, რომელშიაც ის ამტკიცებდა, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ტერორის, რადგან იგი კლასობრივ შეგნებას აბნელებს, მაგრამ რევოლიუციონურ ხანაში ის ასეთ ზომების მიღებას მიზან - შეწონილად თვლიდა. და ტერორი ხომ იგივე სიკვდილით დასჯაა. მაშასადამე აქ საკითხი ეხება არა იმას, რომ ერთ ან ორ ბოროტ-მოქმედს მოუსპობენ სიცოცხლეს, არამედ იმას, თუ რამდენათ შეეფერება იგი მომენტის მოთხოვნილებას.

დ. გ. ცდილობს იურიდიული, მეცნიერული და სხვა საბუთებით პრინციპიალურათ უარჰყოს სიკვდილით დასჯა, მაგრამ მაშინ მან უნდა გამოიჩინოს ლოღიკის სიმტკიცე და უარყოს ადამიანის მოკვლაც, ომიც, რევოლიუციაც, რადგან რევოლიუცია ხომ იგივე სამოქალაქო ომია. და ჩვენ დაგვრჩება ხელთ წმინდა წყლის ტოლსტოველი და არა სოც. დემოკრატია ჩვენ გვექნება საქმე სანტიმეტალურ და რომანტიკულ აზროვნებასთან და არა რევოლიუციონერთან.

რევოლიუციურ ბრძოლაში კი, როცა მრავალ წლობით ნაშრომს და ნაბრძოლს საფრთხე მოელის სანტიმენტალობა ზედმეტი ბარგია. აქ მთავარი კანონია—რევოლიუციის კეთილ-დღეობა, მთავარი ტაქტიკური პრინციპია ამა თუ იმ ღონისძიების მიზან შეწონილობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დღეს ჩვენს მდგომარეობაში სიკვდილით დასჯის შემოღება სწორეთ მიზან შეწონილია იმ ათასგვარ საფრთხისაგან თავის დასახსნელათ, რომელნიც გარს შემორტყმიან ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას.

და ვისაც რესპუბლიკის გამაგრება სურს და მის საზღვრებში რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება—იგი ასეთ ღონისძიებას ვერ დაერიდება.

ამხ. დ. გ. ეხსომება, რომ ერთი წლის წინეთ ქალაქ თფილისის თვითმართველობის დარბაზში ჩვენ ეს აზრი გამოვსთქვით და შეს.ფერი რეზოლიუციაც მივიღეთ. ჩვენ მაშინაც, როცა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დიდი განგაში ქონდათ ზოგ ჩვენს ამხანაგებს და განსაკუთრებით ბოლშევიკებს, არ შეგვეშინდა მარქსისტული შეხედულება დაგვეცვა და რევოლიუციაში, რევოლიუციურ ზომათა სიაში სიკვდილით დასჯაც შეგვეტანა. დღეს ჩვენ მხოლოდ ვახორციელებთ იმას, რასაც რევოლიუციის პირველ დღეებიდან ვიცავდით. მაშასადამე ჩვენ ახლაც იმ ტოტზე ვზივართ, რომელზედაც ვიჯექით და ვჭრით მხოლოდ იმ ტოტს, რომელზედაც დ. გ. ზის თავის სანტიმენტალური „რევოლიუციონერობით".

ჩვენ ამ ზომისთვის ისტორიის არ გვეშინია და არც მის წინაშე პასუხისმგებლობას დავაკისრებთ ვისმე, მით უმეტეს ამხ. დ. გ—ს.

ხოლო ჩვენ იმავე გზით და ტაქტიკით განვაგრძობთ ბრძოლას, რომელსაც დღემდე ვადექით და რომლის წყალობით გარშემორტყმულ ანარქიის ტალღებში შევინარჩუნეთ მაქსიმუმი იმისა, რის შენარჩუნებაც შეიძლებოდა.

## მცირე შენიშვნა

„ერთობაში" იბეჭდება ამხ. რ—ს წერილები სათაურით „ამხანაგური შენიშვნები". ეტყობა ამხ. რ—ს გადაუწყვეტია გაუზიაროს მკითხველს თავისი შეხედულება მთავრობის ზოგიერთ შემცდარ ნაბიჯების შესახებ. ჩემის ფიქრით, ეს არ არის ცუდი. მართალია, მთავრობა მუშაობს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, მაგრამ ჯერ ერთი ეს მუშაობა ადგება სხვა პარტიებთან შეთანხმებით და ამიტომ შეუძლებელია სავსებით გატარდეს ცხოვრებაში ის, რაც ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია; მეორეც ის, რომ მთავრობა წარმოადგენს აღმასრულებელ ძალას და, როგორც ასეთს, შესაძლოა, მას შეცდომები მოუვიდეს, ან გულგრილობა დასჩემდეს. ამიტომ ამხანაგურ კრიტიკას, შენიშვნებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მაგრამ ამხ. რ—ს გუშინდელი შენიშვნა სიკვდილის დასჯის კანონის შესახებ მე არ მიმაჩნია საფუძვლიანათ.

ამხ. რ. საერთოდ აუცილებლათ თვლის სიკვდილით დასჯის შემოღებას, რადგან ის ვერ გაიზიარებს „შეხედულობებს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" უპასუხისმგებლო ჯგუფისას, რომელშიაც უმთავრესათ „მარტის" სოციალისტები შედიან.

ამხ. რ—ს მოყავს ახალი კანონის ორი ნაკლი.

პირველი ნაკლი ეხება დროს განსაზღვრას. კანონს ქვია დროებითი, მაგრამ დრო განსაზღვრული არ არის. ეს ნაკლი, ჩემის ფიქრით, უბრალო გაუგებრობას წარმოადგენს. მართლაც ამ დროებით კანონში თუმცა არ არის აღნიშნული დრო, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ როცა ქვეყანა დამშვიდდება და სიკვდილით დასჯა საჭირო აღარ იქნება, მთავრობა ვერ მოითხოვს მის გაუქმებას. საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის აგრეთვე პარლამენტსაც და თუ საჭიროთ დაინახავს პარლამენტსაც ერთი ორი თვის შემდეგაც შეუძლია სიკვდილით დასჯის გაუქმება. მეორე ნაკლი, რომელსაც ამხ. რ. აღნიშნავს, ეხება კანონის უკუქცევის ხასიათს, ესე იგი, კანონის მოქმედების გავრცელებას იმ დანაშაულზე, რომელიც მის გამოცემამდეა ჩადენილი. ამხ. რ—ს მოყავს იურიდიული მოსაზრება, იხსენიებს აგრეთვე სოციალისტ და დემოკრატ მწერლებს.

მე ვფიქრობ, რომ სოციალისტ და დემოკრატ მწერლების აზრებს ამ შემთხვევაში ვერ დავემყარებით, რადგან მათ სახეში აქვთ ნორმალური დრო, და მართლაც როცა ცხოვრება კალაპოტში ჩადგება, როცა შემოღებული იქნება დამნაშავის გამასწორებელ და გამაფრთხილებელ სასჯელთა სისტემა, ჩვენ სულაც არ დაგვჭირდება სიკვდილით დასჯისთვის მიმართვა. რაც შეეხება კერძოთ სასჯელის უკუქცევით ხასიათს, უნდა ვთქვათ, რომ იმ პირებმა, რომლებმაც ჩვენი რესპ. წინააღმდეგ ღალატი ჩაიდინეს, რომლებმაც დასწვეს ხალხის ქონება და აჯანყებები მოაწყეს, კარგათ იცოდნენ, თუ რას სჩადიოდნენ; მათ იცოდნენ აგრეთვე, რომ თფილისში არსებობდა დაცვის შტაბი, გამოცხადებული იყო საალყო წესები და სიკვდილით დასჯა ზოგიერთ მძიმე დანაშაულობისთვის. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, ვითომ იმ ბოროტმა ადამიანებმა, რომლებმაც შეგნებულათ ჩაიდინეს მრავალი შემაძრწუნებელი დანაშაული, არ იცოდნენ, რომ ამისთვის დაისჯებიან. არა, მათ ეს კარგათ იცოდნენ, მხოლოდ იცოდნენ ისიც, რომ მთავრობის აპარატი მოშლილია და ამიტომ მათ ყველაფერი შერჩებათ.

და მე ვფიქრობ, რომ თუ ამხ. რ.—ს ლოღიკას მივყვებით, უნდა ვთქვათ შემდეგი: მთავრობას ნება არ აქვს ვინმე დასაჯოს, რადგან მან ვერ შესძლო მტკიცე აპარატის შექმნა და ამით შეცდომაში შეიყვანა მრავალი ადამიანი. ვიმეორებ, სწორედ ეს არის ბოროტმოქმედის ჩადენის მთავარი მოტივი და არა დამსჯელ კანონის არ არსებობა. ტყვილა კი არ დასცინიან ტრიბუნალს, როცა ის უვადო კატორღას უსჯის დამნაშავეს. ამბობენ: ჯერ ერთი კატორღა არ გაქვთ, გაქვთ უბრალო ციხე და იქიდანაც გაქცევა ადვილიაო.

ასე სდგას დღეს საკითხი და ამიტომ იურიდიულ მოსაზრებას ამ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ქონდეს. დეე დაისაჯოს რამდენიმე გაუსწორებელი ადამიანი, თუნდაც მათ დანაშაული ჩაედინოთ მაშინ, როცა ახალი კანონი არ არსებობდა. ეს იხსნის საზოგადოებას და მოსპობს იმ თვითგასამართლებას, რომლის მსხვერპლი ხშირად ხდება ესა თუ ის ტუსაღი. როცა პასუხისმგებლობის გრძნობა ქრება, და როცა ხალხი ხედავს, რომ დამსჯელი არავინაა, ბოროტი ადამიანი სინდისზე საბოლოვოთ იღებს ხელს, ხოლო სხვები კი იმის დასჯას თავისებურათ აწარმოებენ, რაც არ არის სასურველი.

დეე ყველას ქონდეს იმის შიში, რომ როცა საზოგადოების საზიანო საქმეს ჩაიდენს, ის ამისთვის დაისჯება თუნდაც შემდეგში გამოცემული კანონით. დეე ის ნუ იქნება ამ მხრით უზრუნველყოფილი. ამით საზოგადოებას არა დაუშავდება რა.

ვიცი იურისტები ასეთი აზრისათვის დამძრახავენ, მაგრამ მე უბრალო მომაკვდავი ვარ და ვფიქრობ, რომ საზოგადოების სარგებლობა უმაღლესი კანონი უნდა იყვეს ყველასათვის.

— ელი. —

## სახელმწიფო დაწესებულებანი და მომავალი ერობა *)

წინა წერილში ჩვენ დავსვით კითხვა: რა ტიპისა უნდა იყოს ჩვენში ერობა? ამ კითხვაზე შეგვიძლია პასუხი გავსცეთ მხოლოდ მაშინ, როცა გავეცნობით ერობის სხვადასხვა ტიპებს. არსებობს სამი ტიპი ერობისა: 1) საგუბერნიო, 2) სამაზრო და 3) შერეული—საგუბერნიო-სამაზრო და საგუბერნიო-სამაზრო-სასოფლო. პირველი ტიპი—საგუბერნიო—გულისხმობს იმ ფორმას ერობისას, როცა ყველა უფლება გარკვეულ ტერიტორიალურ საგუბერნიო ერთეულისა, ფინანსიური, კულტურული და ადმინისტრატიული ფუნქციები მიკუთვნებული აქვს საგუბერნიო ერობის ორგანიზაციას. ეს ტიპი საერობო ორგანიზაციისა არის, ასე ვსთქვათ, განმანაწილებელი პუნქტი ფინანსებისა და ცოცხალი კულტურულ ძალებისა მთელს გუბერნიაში. იგი ავტონომიურათ მაზრებში და სოფლის საზოგადოებებში თავის თვალსაზრისით ჰქმნის და აწესრიგებს ყოველს მხარეს ყოველ მეურნეობის დარგისას. აწერს და ახდევინებს გადასახადებს, თვითონ, და თვითონვე ანაწილებს გუბერნიაში ნაწილობრივ სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ეს ტიპი ორგანიზაციისა აძლევს მიმართულებას მთელი გუბერნიის კულტურულ შემოქმედებას. ამისთვის იგი არის ცენტრალიზაციის ტიპი ერობისა.

რუსეთის ერობის ისტორია გვიუბნება, რომ ამგვარი საგუბერნიო ერობის ტიპი იყო შექმნილი ჯერ ერთი, ცენზიან მემამულეების მიდრეკილებით—უზრუნველჰყონ თავიანთ უზურპაცია და უფლება დემოკრატიულ ელემენტების შემოსევისაგან და, მეორე მხრით, ეს ტიპი სწორეთ შეფერებული იყო თვითმპყრობელობის ცენტრალიზმის იდეიასთან. აქ ადგილი ჰქონდათ მხოლოდ მდიდარ-მემამულეებს და მათ იდეოლოგებს, და ამისთანა შემადგენლობა უზრუნველ იყო ამორჩევაში დიდი საკუთრების და ქონების ცენზის დაკანონებით. თვით ლიბერალი ვიტტე ამ კანონს უჭერდა მხარს.

მართალია გლეხებსაც ეძლეოდათ რამდენიმე ხმა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმისათვის და ამას გარდა ეს ვითომ და დემოკრატიის წარმომადგენელი—უფრო ხშირად მემამულეების დამქაშების როლს ასრულებდენ და არაფერ ინიციატივას არ იჩენდენ ორგანიზაციის პროცესში. რასაკვირველია, ამ ტიპის და შემადგენლობის ერობა კი არ აღვიძებდა დემოკრატიის ინტერესს და ინიციატივას, არამედ უხშობდა და თვით ერობის ინსტიტუტს ახდიდა დემოკრატიის თვალში უსარგებლო დაწესებულებად. ასეთი აპატიური განწყობილება დემოკრატიისა უფრო გარკვეული იქნება ჩვენთვის, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პროლეტარიატი, ეს შეგნებული ავანგარდი დემოკრატიისა, როგორც უცენზო, არამესაკუთრე, სრულიად გარიყული იყო ამ დაწესებულებიდგან, გლეხი კი, ხმის ნაკლებობით და მოუმზადებლობით ვერაფერ გავლენას ახდენდა ამ ინსტიტუტის მარცხნივ გადასახრელად. თუ აკეთებდა რამეს ამ მხრივ, ისევ, ეგრედ წოდებული, მესამე ელემენტი, დაქირავებული ინტელიგენტთა ძალა—მასწავლებელი, ექიმები აგრონომები, სტატისტები და სხვა. ესენი, გაფანტული გუბერნიაში, გარკვევითა ხედავდენ ცხოვრების უკუღმართობის ყოველს მხარეებს, ქმნიდენ ორგანიზაციებს, აღვიძებდნენ დემოკრატიულ ელემენტებს და ამ სახით თანდათანობით არღვევდნენ რეაქციის რკალს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რღვევის პროცესი ძლიერდებოდა ხოლმე ყოველთვის პარალელურად მუშათა კლასის პროლეტარიატის გამოსვლების დროს, ინდუსტრიის ცენტრებში და კოცენტრალურად ვრცელდებოდა პერიფერიებში. იმარჯვებდა რეაქცია, და მესამე ელემენტიც განიცდიდა დევნას და შლას. ამით აიხსნება არა ერთი და ორი მაგალითი ლიბერალურ ერობების „პოგრომები" სა და შეკავშირებულ ორგანიზაციების გაცამტვერებისა. ასეთია მოკლედ უარყოფითი მხარეები ამ ერობის ტიპისა.

მეორე ტიპი ერობისა—სამაზრო. აქ მაზრა ავტონომიურად ჰქმნის თავის ორგანიზაციებს, როგორც მეურნეობის დარგში, აგრეთვე ფინანსიურ და ადმინისტრატიულ მხარეებში. ფინანსები, გადასახადები გროვდება სამაზრო ერობის ორგანიზაციის ხელში და იგივე ორგანო განაგებს და აწესრიგებს მთელს შემოქმედებითი პროცესს ამა თუ იმ მაზრის გარკვეულ ტერიტორიალურ ერთეულზე.

ამით აიხსნება ბევრი სხვადასხვაობა ამ გვარ ერობის ტიპის გამომუშავებაში. ხშირად ვხედავთ, რომ ორი მეზობელი მაზრა სულ სხვადასხვანაირად აწარმოებს კულტურულ, ფინანსიურ და ადმინისტრატიულ ოპერაციებს. საგუბერნიო ერობის ორგანიზაციას თითქმის არაფერი დამოკიდებულება არა აქვს ამ მაზრასთან, და თუ ყველა მაზრამ ამა თუ იმ გუბერნიისამ ასე ავტონომიურად მოაწყო თავისი მეურნეობა, საგუბერნიო ორგანიზაცია ხდება მეტ—ხორცი და მექანიკურად ისპობა.

რაშია საქმე? დემოკრატიის ლოზუნგია დარაზმვა, გაერთიანება, აქ კი ვხედავთ დაშლის და გათიშვის პროცესს.

ჩვენ თუ გადავავლებთ თვალს რუსეთის ერობის ისტორიას, დავინახავთ რომ, მაზრები ცდილობენ გამოყოფას გუბერნიიდგან ერობის ორგანიზაციის ავტონომიურათ შესაქმნელათ მაშინ, როცა საგუბერნიო ერობის ორგანიზაცია პერსონალურად რეაქციონურია, როცა პოლიტიკური სიტუაცია მარჯვნივ იხრება. ასე რომ ვსთქვათ, ყოველი მაზრა ამ შემთხვევაში სცდილობდა გასცლოდა რეაქციის კლანჭებს. თვით სამაზრო ერობის სხვადასხვაობაც აიხსნება როგორც საერთო პოლიტიკურ პირობებით, აგრეთვე პერსონალურ შემადგენლობის მარჯვნივ თუ მარცხნივ მიდრეკილებებით. ამ ერობის ტიპის დამცველნი სრულიად უარს ჰყოფენ საგუბერნიო

*) იხ. „ერთობა" № 127.

ერობის ორგანიზაციას და აქადაგებენ უაღრესს დეცენტრალიზაციას. ზოგი ამ დეცენტრალიზაციის იდეიით გატაცებულნი მიდიან აბსურდამდის: უარს ჰყოფენ სამაზრო ორგანიზაციებს და სცნობენ მხოლოდ სასოფლოს, ე. ი., რომ ყოველს სოფლის საზოგადოებას განკერძოებით შეეძლოს საკულტურო, ფინ. და ადმინისტრატიული ორგანიზაციები მოაწყოს თავის გემოვნებაზე და ნებაზე. მოტივები? საგუბერნიო და სამაზრო ორგანიზაციები, ამბობენ ამ დეცენტრალიზაციის დამცველნი, 1) წვრილს ერთეულებს ხელს უცარავენ და უსპობენ ინიციატივას თავის ადგილობრივ საქმეების მოწესრიგებაში; 2) მთელი გადასახადების ადგილობრივ მოხმარებას ხელს უშლიან; 3) რადგან მთელი ფუნქციები საგუბერნიო ან სამაზრო ორგანიზაციების ხელშია, სასოფლო მცირე ერობის ერთეულები იჩაგრებიან და იმონებიან.

ეს მოტივები დაბადა თვითმპყრობელობის ხელში ტანჯულმა ერობის ისტორიამ და ეხლა კი, მე მგონია, ყველასთვის ცხადია, რომ ეს მოტივები არსებითათ ჰქარწყლდებიან დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში, როცა ხელში ევაქვს ოთხ ფორმულიანი ამორჩევის სისტემა და დემოკრატიის დარაზმვის ლოზუნგები. თვით პოლიტიკური პირობები თხოულობენ ორგანიზაციების სხვადასხვაობას კი არა, არამედ ერთგვარობას, ერთს გარკვეულ ფორმაზე ჩამოყალიბებას და ყველა დეცენტრალიზაციის დამცველებმა უნდა იქონიონ ეს დებულება მხედველობაში.

მესამე ტიპი ერობისა — შერეული, ე. ი., ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ტერიტორიულ ერთეულზე არსებობენ საგუბერნიო, სამაზრო ორგანიზაცია და ან კიდევ საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო ერობა. ყველას სათითაოთ აქვს თავის განკერძოებული ფუნქციები; საგუბერნიოს ყველა დარგში, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა და ხასიათი მთელი გუბერნიისათვის, სამაზროს—მთელს მაზრისათვის და სასოფლოს—მთელი სოფლის საზოგადოების ერთეულისთვის—ამა თუ იმ მაზრაში. ამ ფუნქციების კულტურულ ძალთა და ფინანსების განაწილება უნდა იყოს რაციონალური და მიზანშეწონილი, რისთვისაც საჭიროა დიდი დაკვირვება და დეტალიზაცია, რომ შესაძლებელი იყოს ცხოვრებაში გარმონიულათ და შეთანხმებით გატარდეს სამივე ორგანიზაციის შემოქმედება და არ დაიბადოს შეხლა-შემოხლა ამა თუ იმ რეფორმის განხორციელების დროს. ეს ტიპი ერობისა არის უაღრესი დემოკრატიული თეორეტიულათ. ეს ფორმა არის იდეალი და მთელი ძალა და ღონე უნდა იყოს მიმართული ამგვარი ერობის ტიპის რეალიზაციისკენ. აი მოკლედ სქემა ერობის ორგანიზაციის სამი ტიპისა.

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ უკანასკნელი—შერეული ტიპი ერობისა, ე. ი. საგუბერნიო-სამაზრო-სასოფლო, შეიცავს ყველა დადებით მხარეებს, რადგან აქ ვხედავთ, რომ დაცულია ინიციატივაც, თვითშემოქმედებაც და ყველა ის მისწრაფებანი დემოკრატიისა, რომელნიც იდევნებოდენ რუსეთის ერობის ისტორიაში. ამ ტიპის ერობის ორგანიზაციის დაწვრილებით გასაცნობათ მკითხველს მიუთითებ პატარა წიგნაკზეა გამოცემული ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ ამ წელში *), მე კი შემდეგ წერილში შევეცდები გავარკვიო, შეგვიძლიან თუ არა ეს მესამე ტიპის ერობა მთლიანად გავატაროთ, განვახორციელოთ ცხოვრებაში ახლანდელ პირობების მიხედვით და თუ არა, რა გზას უნდა დავადგეთ.

ვ. ლაშხაური.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. საარტილერიო სროლა სადამოთი გაძლიერდა განსაკუთრებით გაცხარებული სროლა იყო ლისის ორივე მხარეს—ლაბაჩეის არხთან და სომის ორივე ნაპირას. მტრის ძლიერი იერიშები მერრთან და ლისსის სამხრეთით უშედეგოთ დამთავრდა: შატო-ტიერის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. მოწინააღმდეგის იერიშები კლინიონის და რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით მოვიგერიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ჩვეულებრივი სამხედრო მოქმედებაა. ფრონტებზე ახალი არაფერი მოხდარა.

**ბერლინი.** 6 ივლისს ღამით ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მზვერავებმა დაზვერვა მოახდინეს მთელს დასავლეთ ფრონტზე. ინგლისის ერთი მზვერავი მეტერნთან დახვრეტილ იქნა. შემდეგ ბრძოლაში ჩვენ მრავლათ ჩაგვივარდნენ ხელში ტყვეები. რამდენიმე უშედეგო შეტევის შემდეგ 6 ივლისს ამერიკელებმა ფრანგების დახმარებით დაიწყეს შეტევა. ამერიკელებს შეტევის დროს ჯარები ბლომათ ჰყავთ, მაგრამ დიდი ზარალი მისცეს, მიზანს კი ვერ აღწევენ.

**მოსკოვი.** ვლადივოსტოკიდან მოსული ცნობა თითქოს ირკუტსკი სამხედრო ტყვე ნემცებს ჩაეგდოთ ხელში მათივე აფიცრების წინამძღოლობით სიმართლეს არ შეიცავს. ირკუტსკს პირდაპირი კავშირი აქვს ვლადივოსტოკთან და სამხედრო ტყვე ნემცების არავითარ აჯანყებას იქ ადგილი არ ჰქონია.

**ვაშინგტონი.** საზღვაო დეპარტამენტი იუწყება, რომ სატრანსპორტო გემი „კონვენკტონი“ ორშაბათს ღამით ჩაიძირა. არა სჩანს კომანდის შემადგენლობიდან 60 კაცი. მგზავრები გემზე არ ყოფილან. არავითარი წყალქვეშა ნავი არ ყოფილა შენიშნული.

# უკანასკნელი ცნობები

## სოჩი.

ქართული საგანგებო ბათალიონის უფროსმა სოჩიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „5 ივლისს სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ხოსტასთან. ჩვენს როტას საშვალო ხაზი ჰქონდა დაჭერილი ბრძოლის რაიონისა. სასტიკი შეტაკების შემდეგ ის გადავიდა შეტევაზე, გარეკა მოწინააღმდეგე პოზიციიდან, ხელთ იგდო 10 ტყვიის მფრქვეველი, 8 ზარბაზანი და წამოიყვანა 200 ტყვე. ჯარისკაცები მხნეთ არიან. ამ ჟამად იმყოფებიან ლაზარევსკაიაში.*) მოკლულთ და დაჭრილთ ტრანსპორტ „მიხეილ“ ით ფოთში ვგზავნით“.

## ფოთი.

როგორც 8 ივლისს ბათუმიდან ჩამოსული პირები გადმოგვცემენ ოსმალეთის სულთანი ტახტიდან ჩამოუგდიათ. ახალ სულთანის ტახტზე ასვლის გამო ბათუმში გაუსროლიათ ასი ყუმბარა.

—

იმავე პირების გადმოცემით ბათომში აფეთქებულა „შავი ზღვის ბატარეა“, რომელიც შესდგებოდა 12 ზარბაზნისაგან. ამათგან იაპონიის სისტემის 2 ზარბაზანი იყო—ძლიერ დაზიანებულა; დანარჩენი ათი სულ განადგურებულა. მიზეზი ზარბაზნების მოვლის უცოდინარობა ყოფილა. (საკ. კორ.)

## მანგლისი. (დეპეშა)

წალკიდან ჩამოსულები ამბობენ, რომ მუსულმანთა ბრბოები იარაღს ჰყრიან ნემეც კოლონისტებსო. ბერძნების და სომხების სოფლებში უკვე აუყრიათ იარაღი ყველასათვის. გომარეთში მოუკლავთ სამი ქართველი, ერთი უწამებიათ, ერთისთვის ოდნავ გადაუჭრიათ ყელი, მიუკრავთ ფურგონზე და უთრევიათ, ვიდრე არ მომკვდარა. გლეხებს მათრახებით სცემენ. დაუწვავთ სამი სახლი.

# კანონები

I

**სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა სალიკვიდაციო (შტატ გარეშე დატოვების გამო) შემწეობისა.**

(საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული),

1) ნაცვლად რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის 1917 წლის 29 ივნისის დადგენილებისა, სამსახურის წესდების იმ მუხლებისა, რომელნიც შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დაკმაყოფილებას ეხება და სხვა ამ საგანზე გამოცემულ წესებისა და დადგენილებისა, შემოღებულ იქნეს ქვემოაღნიშნული წესები:

2) მოსამსახურე, რომელიც დათხოვნილ იქნება დაწესებულებათა გაუქმების, გარდაქმნის ან შტატის შემცირების გამო, მიიღებს დახმარებას შემდეგი წესით: თუ უმსახურია 6 თვემდის, მიიღებს დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირს, თუ უმსახურია 6 თვიდან ერთ წლამდის—თვენახევრის და თუ უმსახურნია ერთ წელზე მეტი—ორი თვის ჯამაგირს, მხოლოდ საერთოდ ეს დახმარება არ უნდა აღემატებოდეს ათას მანეთს. დახმარება იძლევა იმ ჯამაგირის კვალობაზე, რომელიც დათხოვნის დროს ჰქონდა.

3) მოსამსახურეს, რომელსაც ერთ წელიწადზე მეტი უმსახურნია მიეცემა ჯილდოთ: პირველი ხუთი წლის სამსახურისათვის (გარდა პირველი წლისა) თვითეულ ნამსახურ წელზე ორი კვირის ჯამაგირი.

მეორე ხუთი წლის სამსახურისათვის თვითეულ წელზე—თითო კვირის ჯამაგირი.

ხოლო მესამე ხუთი წლის სამსახურისათვის—თვითეულ წელზე ნახევარი კვირის ჯამაგირი.

**შენიშვნა:** 1) ჯილდოს გამოანგარიშების დროს ექვს თვეზე მეტი სამსახური წელიწადათ ჩაეთვლება.

2) იმ პირს, რომელსაც ხაზინიდან ეძლევა პენსია ან სხვა საპენსიო დახმარება, უფლება ეკარგება ამ (3 მუხ) მუხლში მოხსენებული ჯილდოს მიღების.

4) მოსამსახურე, რომელიც თავის ნებით დასტოვებს სამსახურს ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში იქნება შესაფერ თანამდებობაზე გაწესებული, დახმარების (მუხ. 1) და ჯილდოს (მუხ. 2) მიღების უფლებას ჰკარგავს და თუ მიღებული აქვს ვალდებულია უკანვე დააბრუნოს. ეს თანხა სახაზინო შემოსავალში ჩაირიცხება.

5) შრომის მინისტრს უფლება აქვს ამ წესების განსამარტებლად გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

6) ეს კანონი ვრცელდება აგრეთვე იმ მოსამსახურეებზედაც, რომელნიც დათხოვნილ იყვნენ სახელმწიფო დაწესებულებათა ლიკვიდაციის გამო, მაგრამ ამ კანონის გამოცემამდე საბოლოო ანგარიში არ მიუღიათ.

II

**სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსებისა.**

მუხლი 1.

დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭოში, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნულ საბჭოს წინაშე.

მუხლი 2.

უთანხმოებას რესპუბლიკის კონტროლიორისა და მთავრობის შორის არჩევს და სწყვეტს ეროვნული საბჭო.

მუხლი 3.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კანონების ის მუხლები, რომელნიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ამიერიდან გაუქმებულია.

# ახალი ამბები

დღეს საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია შეერთებული კრება I რაიონის კოლექტივის, ყველა პოდკოლექტივების და ნაძალადევის სამოქალაქო კომიტეტის.

✦ **მობილიზაცია ტფილისში.** ტფილისის მილიციის უფროსის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდენ ჯარში გასაგზავნით თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა (14 ივნისი 1918 წ.) 1895, 96, 97 98 და 99 წლებში დაბადებულნი, რომლებიც ტფილისში ცხოვრობენ. ეს პირები უნდა გამოცხადდენ ტფილისის სამხედრო უფროსთან. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს და 15 ივლისამდე დანიშნულებისამებრ არ გამოცხადდება გასამართლებული იქნება სამხედრო რევოლიუციონური კანონის ძალით.

✦ **დეპეშის გადაცემა.** საგარეჯოს, ბადიაურის, მელაანის, გურჯაანის, წნორის წყალის და თელავის სადგურებზე 15 ივლისიდან მიიღება გადასაცემათ კერძო დეპეშები საზოგადო ნიხრის თანახმად.

✦ **ჯალალ-ოღლში** ასკერები და ქურთები ძარცვა-გლეჯას ეწევიან, ისინი თავს ესხმიან სოფლელებს, არბევენ მათ და ნაძარცვ საქონელს ურმითა და აქლემებით ყარსისკენ გზავნიან.

✦ **სიკვდილით დასჯა რუსეთში.** უკრაინის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ სახალხო კომისართა საბჭომ სიკვდილით დასჯა აღადგინაო.

✦ **ქუთაისის საგუბერნიო კომისარი** მთავრობას 4 მილიონი მანეთის გადადებას სთხოვს სხვადასხვა საჭიროებისათვის.

✦ **საქარხნო ინსპექციის გაუქმება.** შრომის სამინისტროს კანონ პროექტი შეაქვს მთავრობაში, რომლითაც უნდა გაუქმდეს საქარხნო ინსპექცია და ყველა მისი უფლება-მოვალეობანი უნდა გადაეცეს შრომის კომისარებს.

✦ **ტფილისის სამოსამართლო პალატამ** შეაჩერა მთავრობის განკარგულებით ყველა საქმეები ბაქოს, განჯის და ერევნის საოლქო სასამართლოებიდან შემოსული თუ მათზე გადასაცემი.

✦ **ხოლერა ტფილისში** განსაკუთრებით გავრცელებულია ლტოლვილთა შორის. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 16 ხოლერით და 22 —ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.

✦ **ყაზახის რაიონის** მუსულმანები, როგორც პრესის ბიურო ატყობინებს, ყარსის ოლქში სახლდებიან. ლორის, ბამბაკის, ალექსანდროპოლის და ყარსის რაიონის ლტოლვილნი ახალ ბაიაზეთისაკენ მიიწევენ და იქ ბინავდებიან. ლტოლვილნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. დილიჟანსა და გოკჩის ტბას შუა ადგილებში მრავლად ჰყრია მკვდარი ადამიანები და ცხენები.

✦ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“** ოთხშაბათს. 10 ივლისს ქართველ მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს სახალხო კონცერტს. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.

✦ **მორიგი კრება ქართველ ექიმთა** და ბუნების მეტყველთა საზოგადოების დანიშნულია დღეს ოთხშაბათს 8 ს. საღამოს ფრეილინის ქუჩაზე № 11. პროგრამა: 1) გაგრძელება მუხლ და მუხლ განხილვისა ექ. ს. ვირსელაძის მოხსენებისა „ძირეული დებულებანი საექიმოსასანიტარო საქმის მოწყობის საქართველოში“ და 2) ექ. ა. მაღალაშვილის მოხსენება: „როგორ უნდა მოეწყოს საექიმო-სასანიტარო საქმე საქართველოს რესპუბლიკაში და კერძოდ გორის მაზრაში“.

✦ **„ნაკადული“** ამა წლის მარტის თვის № 3 მცირე წლოვანთათვის რედაქციამ მიიღო.

✦ **მუშათა კლუბში** დღეს შესდგება ცეკვის საღამო, დაიწყება 8 საათზე.

✦ **მუსულმანური** სოც.-დემ. გაზეთ „გიალე ჯეპ“ ორსაკმა შესწირა 500 მანეთი.

## კრებები და მიტინგები.

დღეს, ოთხშაბათს 10 ივლისს შესდგება ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**სენაკი** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა თავისი ნივთიერი საშვალებათა გასაძლიერებლად მართავს ადგილობრივ ქალაქის ბაღში 12 ივლისს (ძვ. სტ. 29 ივნისს) სახალხო სეირნობას ლატარეა-ალეგრით და სხვა და სხვა გასართობებით.

**საგურამოს რაიონი.** კვირას, 7 ივლისს სოფელ გალავანში მოხდა მიტინგი სოფლის მცხოვრებლებისა, რომელზედაც ილაპარაკა ტფილისიდან ჩამოსულ ამხ. ვლ. მგელაძემ, ფ. ლორიამ, და გ. ცინცაბაძემ. ორატორებმა აუხსნეს ხალხს თანამედროვე მდგომარეობა და სოფლის აჯანყების დამღუპველი მნიშვნელობა ხალხისა და რესპუბლიკისათვის. ხალხს თვალი აეხილა და ერთხმად გაიძახოდენ, რომ ისინი პროვოკატორებმა მოატყუილეს და ძმების წინააღმდეგ გამოიყვანეს. დასასრულ მიტინგმა ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია რომელიც მხარს უჭერს მთავრობას და დახმარებას აღუთქვამს წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვაში, ამ მიზნით გდება სახალხო გვარდია.

# ლეჩხუმში

ლეჩხუმიდან ჩამოსულმა ამხანაგმა შემდეგი გვიამბო: ოთხშაბათს, 3 ივლისს, ლაშხეთიდან ახალჭალაში ჩამოვიდა ლაშხეთელებისაგან შემდგარი რაზმი, რომელმაც დაუყონებლივ იარაღი აყარა ბოლშევიკების ბრბოს, რომელსაც მეთაურობდა ცაგერის ბოლშევიკების შტაბის თავმჯდომარე ივანე სვანიძე. ბოლშევიკების მიზანი იყო ნაქერალის ქედის გამაგრება. ამისთვის კონტრიბუციაც კი მოუგროვებიათ სოფელში და ის იყო უნდა გამგზავრებულიყვნენ, რომ მოუსწრო ლაშხეთის რაზმმა აყარა ყველას იარაღი, დაატყვევა ცაგერის შტაბის თავმჯდომარე სვანიძე მისი ამხანაგებით და გაზავნა ლაშხეთში. ჩამოართვა სოფელში მოგროვილი ფული და დაუბრუნა მცხოვრებლებს. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მთელი ხალხი ჩვენ მოგვემხრო. იქიდან წამოვედით ჭრებალოში რამოდენიმე კაცი, ჭრებალოში ვალიკო ტყეშელაშვილის მეთაურობით რაზმი გაემგზავრა ლაშხეთლების დასახმარებლათ. ლაშხეთში თავი მოეყარა 300-მდე შეიარაღებულმა კაცმა. მათ მიემატებოდა კიდევ ზემოსვანეთის რაზმი რიცხვით 200 მდე კაცი. ჯერ ჯერობით ჩვენ ხელში არის ცაგერის, ორბელის, ლაილაშის, და ჩხუტურის საზოგადოება. ბოლშევიკების ბრბო ასეთ თავდასხმას არ მოელოდა და დაიბნენ. მექვენიდან დაუძახეს თავის ბრბოს, მაგრამ, რადგან მათ წინააღმდეგ მდგარა სულაქველიძის რაზმი ვერ მოხსნეს თავისი ჯარის კაცები. ზოგიერთი მეთაურები გაიპარენ, მათ შორის არსენ ექვთიმეს ძე ჯინჭარაძე. ხალხი ყველგან აღტაცებით ხვდება ჩვენი რაზმის შესვლას. ჩამოსული დანამდვილებით ამბობს, რომ რამოდენიმე დღეში მთელი ლეჩხუმი გაიწმინდება ბოლშევიკურ ბრბოსაგან. („ს. დ.“).

# გიორგი (ძუკუ) ქავთარაძის ხსოვნას

შენც ამხ. გიორგი, გახდი მსხვერპლი სახალხო მოძრაობის, მაგრამ შენი სიკვდილი არ წააგავს სხვებისას! დაკარგულ ამხანაგების საფლავი არსებობს, ქრისტიანები უფლებმა იციან. შენი საფლავი კი არ არის აღნიშნული ადგილის სივრცეში და ეს გარემოება უფრო გვითუთქავს გულს შენს ახლობელ ამხანაგ-მეგობრებს და გვიორკეცებს ურვა და ვიშს, შენი დაკარგვით გამოწვეულს. ვინ იცის რამდენი კეთილი ზრახვები თან წაიღე, კეთილო ადამიანო? ვინ იცის რა იყო შენი უკანასკნელი ამოძახილი ამოძახილი, როცა შავი ზღვის ტალღებმა მაგრად ჩაგიკრეს გულში? იქნებ უკანასკნელ წუთებშიაც ის გაწუხებდა, რომ შენთან ერთად იკარგებოდა დამფუძნებელი კრების მასალები! იქნებ მოგაგონდა შენი პატარა მერიჩკა, რომლის ნახვ შენ ვერ მოახერხე და ისე მოსწყდი წუთისოფელს. ამ მხრივ უბედური ხარ ამხანაგო, მაგრამ მეორე მხრივ ბედნიერი ხარ. შენ ამოგხდა სული იმ იმედით, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომლისათვის შენ თავი შესწირე, აუცილებლად შესდგებოდა და იტყოდა თავის ავტორიტეტულ სიტყვას და რევოლიუცია მივიდოდა თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

გიორგი იყო ფრიად პატიოსანი, სულით სპეტაკი, ნაზი, ფაქიზი, ყოვლად უმწიკვლო კეთილშობილური ზრახვით აღჭურვილი, სწორი პირუთვნელი ადამიანი. უკანასკნელ დროს ის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის მე 4 კურსის სტუდენტი იყო. რევოლიუციამდის მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციებში. რევოლიუციის პირველ დღიდანვე ის სამეგრელოში ეწეოდა პარტიულ მუშაობას. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გიორგი საუკეთესო ორგანიზატორი იყო. ის თუ მოკიდებდა საქმეს ხელს, აუცილებლად გულწრფელად და ლამაზად შესრულებდა. დამფუძნებელ კრებაზე საოლქო საარჩევნო კომისიამ ის დანიშნა ინსტრუქტორად სოხუმის და ბათუმის ოლქებში, გიორგიმ ბათუმის ოლქში გაათავა მუშაობა და გაემგზავრა სოხუმიდან გაგრაში მოტორიანი ნავით. ნავი ზღვაზე აფეთქდა და ჩვენი საყვარელი გიორგი შთანთქა ზღვის სტიქიონმა გიორგის სახით ჩვენ დავკარგეთ ერთი საუკეთესო მებრძოლი.

1 ივლისს (13 ივნისს ძველი სტ.) შესრულდა ექვსი თვე გიორგის დაკირგვის შემდეგ.

დღეს ერთხელ კიდევ გულდათუთქული დასტირიან ამხანაგო ძუკუ, შენს დაკარგვას შენი მეგობრებ-ამხანაგები. შენი პატარა მერიჩკა, რომელიც ჯერ არ გინახავს სხვებთან ერთად აფრქვევს უმანკო ცრემლებს. მარტვილის დემოკრატია ერთად ცხარე, ცრემლებით გლოვობს შენს უდროოთ ტრაღიკულათ დაკარგვას...

აკაკი სიგუა.

# გუდაუთის ფრონტზე

ტფ. მ. და ჯ. კ. საბჭოს აღმასრულ. კომიტეტის საგანგებო რაზმი ქ. სოხუმის აღების შემდეგ დარჩა სოხუმის ოლქში ანარქიის ჩასაქრობად. 5 ივნისს რაზმი წითელი გვარდიის შტაბის განკარგულებით გაგზავნილ იქნა ქ. გუდაუთში. ჩვენი მოწინავე პოზიცია გუდაუთი გახდა. მთელი გუდაუთის რაიონი ბალშევიკური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და ჩვენი შტაბთან არავითარი დამოკიდებულებაში არ იყვნენ. რაზმის შტაბმა მოაწყო ადგილობრივათ ქალაქის მილიცია და მთავრობაც. ხალხი მეტად ჩამორჩენილია ამ კუთხეში. ვერც ერთ გაზეთს ვერ ნახავთ. ხალხი მოწყვეტილია სრულიად პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობის გაგებას. ადგილობრივადაც კულტურული დაწესებულებები ცოტა და უსიცოცხლოა. ამით აიხსნება აქაური ხალხის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიმართ უნდობლობა. ეჭვის თვალით გვიყურებდენ თვით რაზმელებსაც. სჩანს. დიდხანს უმუშავია აქაურ მასაში ბნელ ძალებს და ხალხის სულიც მოუწამლავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაზმელები თავდაჭერილათ, წინდახედულად, მიზანშეწონილათ ეპყრობოდენ ადგილობრივ ხალხს და არც აფიცრებს, არც ჩვენს რაზმელებს პაგონები არ ქონიათ, რისაც ძლიერ ეშინიათ ბალშევიკებს, მაინც კადეტებს და მემამულეების მოყიდულებს გვიწოდებდა შეუგნებელი მასა. ასე იყო ჩასვლის ახლო ხანებში. შემდეგ გუდაუთის დემოკრატიამ თანდათან გაგვიცნო და ჩვენთან დაიჭირა საქმე. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სამწუხაროდ, სოფლელი გლეხები არ გვეკარებოდენ ახლოს. მათში გაცხარებულათ მუშაობდენ ბ ნი ლაკობა და მისი კომპანია, რომელთა მიზანი იყო ძმათა შორის სისხლის დაღვრა და ანარქიის გაძლიერება. სამწუხაროდ პრავაკაციამ გასჭრა და დემოკრატია ჩვენს გულს მოგლიჯა. 12 ივნისს რკ. გზის მართველობის თხოვნით რაზმის შტაბმა გაგზავნა აფხაზების ცხენოსანი რაზმი სახელმწიფო ცხენების გამოსაყვანათ, რომლებიც 8—10 ვერსტში იმყოფებოდენ გუდაუთიდან და რომლების მოტაცება ბალშევიკებს სურდა თავიანთ საჭიროებისათვის. ბალშევიკებმა სროლა აუტეხეს აფხაზების ცხენოსან რაზმს თეთრს წყალზე. ჩვენი რაზმი გაწვეულ იქნა დასახმარებლათ. თავდამსხმელები მალე გავფანტეთ. ამავე ხანებში სომხები და აფხაზები თავს დაესხენ ახალ ათონის მონასტერს, მიზანი ძარცვა გლეჯა იყო მათი. იქაც ჩვენი რაზმის ნაწილი იქნა გაგზავნილი, რომლებმაც ბოროტ-გამზრახველები გარეკეს, ვინაიდან საგანგებო რაზმი სულ 100—120 კაცისაგან შესდგებოდა და ასე ერთი მუჭა ხალხით ყოვლად შეუძლებელი იყო მოწინავე პოზიციის დაჭერა და სხვა ყაჩაღური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლა, ვთხოვა, რომ დამხმარე ძალა გამოეგზავნათ მისთვის, რადგან ფიზიკურად აუტანელი იყო ყოველ დღე „ნარიადში“ ყოფნა. დამხმარე ძალა არ ჩანდა.

ეს მცირედი რაზმი, მაგრამ ერთი მიზნით, ერთი სულით და გულით ენერგიულათ მუშაობდა ანარქიის წინააღმდეგ ყოველ მხრით. ამასთანავე ცდილობდა თანამედროვე მომენტის ვითარების ახსნა განმარტებას ხალხისათვის. ყველა წევრი საგანგებო რაზმისა, წინადახედულათ და შეგნებულათ მოქმედობდა, ეწეოდა პროპაგანდას ხალხში, უხსნიდა მას წითელ გვარდიის პოლიტიკურ მდგომარეობას და ბალშევიკების ნამდვილ ფიზიონომიას.

ამას გარდა აწყობდა წარმოდგენებს და მოუწოდებდა ხალხს ნორმალურ და კულტურულ ცხოვრებისაკენ. მაგ. სოხუმში დადგა საგანგებო რაზმმა ადგილობრივი ძალების დახმარებით „სოფლის გმირები“. წარმოდგენა დიდებულათ ჩატარდა, ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა. შემოსავალი ომში დაზარალებულ გვარდიელების სასარგებლოთ გადაიდო მეორე წარმოდგენა მოაწყვეს გუდაუთში 16 ივნისს. აქ თვით გვარდიელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამიერ კავკასიის წითელ გვარდიის წარმოშობა, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და მოქმედება რევოლიუციის საკეთილდღეოთ. შემდეგ წარმოდგენილ იქნა „პირველი და უკანასკნელი კოცნა“, „ორი მშიერი“ და სხ ხალხი ბლომათ დაესწრო. დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით. ყველასათვის აშკარა იყო, რომ წითელი გვარდია არა მარტო თუ ანგრევს ძველი წყობილების ნაშთებს, არამედ აშენებს ახალს, ამყარებს წესრიგს, ცხოვრებას ნორმალურ სალაპოტში აყენებს, დემოკრატიულ მთავრობას ამაგრებს და ქმნის დემოკრატიულ კულტურას, რომლითაც ის აზიარებს ფართო მასას.

ასეთ მუშაობას აწარმოებდა გუდაუთში ჩასვლისას საგანგებო რაზმი.

მისი მხურვალე სურვილი იყო უსისხლოთ საქმის მოგვარება აფხაზეთის დემოკრატიასთან და ამ მხრით მან ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

პრომეთეოსი.

# ანარქია ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის მაზრა დღეს ანარქიის ალში გახვეული. ის, რაც აქ ხდება, კალმით პირდაპირ აუწერელია. ზუგდიდის მაზრა ეგრეთწოდებულ ბალშევიკებმა აიკლეს. მთელი მაზრა პროვოკაციის ქსელშია გახლართული. ეს ერთი ხანია, რაც დაბა, მისი მაზრის სოფლებს ფაქტიურათ ჩამოშორდა, ყოველგვარი კავშირი ნებსით თუ უნებლიეთ გაწყვეტილი აქვთ. დაბაში არავითარი სანოვაგე არ შემოდის შიმშილობაა. ქალაქს გარეთ გაცილება ყოვლად შეუძლებელია. ქალაქს გარეთ ბლომათ მოხეტიალე ბრბო ქალაქში შემოხიზნულ მაზრის სოფლებიდან მოწინავე გლეხებს ან ინტელიგენტთაგანს ვისაც ხელში ჩაიგდებს, ყველას ატუსაღებს. ზოგი სადღაც მიჰყავთ და ამწყვდევენ, ზოგს საშინელი ინკვიზიციონური წვალებით და საშინელებით უსპობენ სიცოცხლეს. დიდი თუ პატარა ყველანი ერთათ თავის დაბადებ ს დღეს სწყევლიან, მოსთქვამენ, სასოწარკვეთილებას ეძლევიან. ყველა ბუნებრივ სიკვდილს ნატრობს. მაზრის სხვადასხვა სოფლებში ყოველდღე აუარებელი სახლი, სარჩო საბადებელი იწვის, ნიავდება. ქონებას იტაცებენ. მილიციონერების, კერძო შურისძიებით, მოწინავე ელემენტების, იარაღით ხელში თავისუფლებისათვის მეომრების, მოწინავე გლეხების, რომელნიც ყველა ესენი ქალაქში არიან შეხიზნულნი. ბევრი ერთგულნი რევოლიუციონერები გამოასალმეს წუთისოფელს. ბევრი დასტოვეს ღვთის ანაბარა. მთელ მაზრაში საშინელი ტერორია გამეფებული. ყველგან ცახცახი და ძრწოლაა. მთავრობის სისუსტით ხალხი მეტად აღელვებული და უკმაყოფილოა. ანარქიის ავანგარდნი და პირმშო შვილები ყოფილი ჯარისკაცებია.

ანარქიამ პირველად ფეხი უფრო მიყრუებულ და მივარდნილ სოფლებში მოიკიდა. მერე კი რამოდენიმე ორი თუ სამი სოფლის გამოკლებით მთელ მაზრას მოედო. ეს რამდენი ხანია მთავრობის ჯარი რაც სამეგრელოს სოფლებში გულმოდგინეთ მუშაობს ცეცხლით და მახვილით, ზარბაზნებით, თოფებით და ტყვიისმფრქვევლებით და ყოველგვარ ზომით მარა ჯერ ვერა გააწყო. მთავრობის ჯარის სისუსტით შეიარაღებული „ბალშევიკურათ წოდებული ბრბო სულ ყალყზე დგება და იერიში-იერიშზე მოაქვს. სოფლელნიც მათ ზედგავლენით ბალშევიკურ სულით არიან გაჟღენთილნი და მოწამლულნი, თუ არა და პასიურ როლს თამაშობენ.

დიდი ხანია, რაც ზუგდიდს დაცემით და განადგურებით ემუქრებიან. ქალაქი ყოველთვის დაცემას მოელოდა. და აი 27 ივნისს დილა ადრე, როდესაც მთავრობის ჯარი ჯარის უფროს ღლონტის მეთაურობით სოფ. აბასთუმანში მოქმედობდა. რუსულ-ვინტოვკებით კარგათ შეიარაღებული რამოდენიმე ასეული, ბრბო უმეტეს ნაწილი სამურზაყანოდან მოულოდნელად ზუგდიდს დაეცა. ჯერ რკალივით გარს შემოერტყენ, მერე ქალაქის შუაგულშიც შეჭრილან. გაეღოთ ციხის კარი, გამოეშვათ ყველა ტუსაღები და ერთი დარაჯთაგანიც მოეკლათ ამის შემდეგ წასულიყვნენ კომისარიატის დასაცემათ, რომე-

*) Временное положенiе о Земскихъ учрежденiяхъ въ Закавказьѣ.

*) ს. ლაზარევსკაია მდებარეობს სოჩასა და ტუაპსეს შუა, ტუაპსედან დაახლოვებით 20—25 ვერსია.

ლიც მოთავსებულია ყოფილ თავად მინგრელსკის სასახლეში. აი იქ სროლის შემდეგ, გამოირკვევ ქალაქში მყოფნი რამოდენიმე ათეული შეიარაღებული ძალა, რომელიც შესდგებოდა რამოდენიმე მილიციონერის და ადგილობრივ მცხოვრები და ნოქარ-ხელოსნებისაგან, შვა გულ ქალაქში შემოჭრილი ბრბო, ადგილობრივ რაზმმა განაპირა ქუჩაში გარეკა. შიგ რამოდენიმე კაცი დამცემი მოკლეს, რასჭრეს და დაატუსაღეს, მის შემდეგ შეიქმნა ტყვიისმყორცნელის და თოფებიდან საშინელი სროლა. რაც მეორე დღის 28 ივნისის საღამომდე გაგრძელდა განუწყვეტლივ, სანამდე მთავრობის ჯარი არ მოუწრებდა ზარბაზნებით და ტყვიისმტყორცნელებით რომელ ჯარსაც გაუწია ბრბომ წინააღმდეგობა, 27 ივნისის დილა ადრიდან 28 სალ. მშვიდობიანი მცხოვრებლები ხელოვნურად გაკეთებულ სანგრებში ეყარნენ ცოცხალმკვდარნი და უსიცოცხლო უსმელ უჭმელნი. ადგილობრივმა მცირე რიცხოვანმა ახლად შემთხვევით შეიარაღებულმა გაუწვრთნელმა ძალამ „ბალშევიკთა დიდ რიცხოვანი მშვენიარად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარი სასტიკათ დაამარცხა... რასაც განცვიფრებაში მოყავს მთავრობის ჯარისკაცები და მცხოვრებლები.

როგორც ვსთქვი, ბრბო საშინლად დაამარცხეს. ტყვეთ იარაღიანათ ხელში ჩაიგდეს 75 კაცამდე, დაჭრილ-დახოცილი აუარებელია, რომლების აკრეფვა ჯერაც არაა ტყეებში დასრულებული... მთავრობის ჯარმა ზარბაზნებიც იხმარა და დიდი სროლის შემდეგ მათ უკან დაახევია. საშინლად დამარცხებულმა ბრბომ შური იძია და მიჰყო მშვიდობიან სოფლებში წვა დაგვას და ხოცვა ჟლეტას ხელი. ზუგდიდში ყოველ საათში მოელიან დაცემას. ზუგდიდ სენაკს შუა ყოველგვარი მოძრაობა შეწყდა. მეორე დღეს დაეცნენ დაბა ხობს, იარაღი აყარეს და ტყვეთ წაიყვანეს 12 მილიციონერი, მათ შორის ორი დაჭრილია. მიანგრიეს მოანგრიეს დაბა, დაადვეს 30,000 მან კონტრიბუცია, ხობის წყლის ხიდს ცეცხლი მოუკიდეს, წაიღეს რის წაღებაც შესაძლებელი იყო და სანამდი ჯარი მივიდოდა გაიქცენ.

ბრბოთა შორის სამნაირი მიმდინარეობაა: 1) რომელნიც შეუგნებლათ აყოლია გაბოროტებულ ბრბოს მოდურად—და შოვნის ხალისით გატაცებული არ ფარავს თავის განზრახვებს, და მისწრაფებას „ბურჟუაძე“ ვაჭრების წინააღმდეგ, მაგრამ არც „პროლეტარს“ ინდობს... 2) თავად-აზნაურთა სულისკვეთების გამომხატველნი, რომელნიც შეგნებულად ფიქრობენ და ლამობენ ანარქია გამოიწვიონ, რომ უცხოთა ხელი ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეში; 3) რომელნიც მართალია არაფერი გაეგებათ, მაგრამ მაინც „იდეურ“ ბალშევიკს უწოდებენ თავიანთ თავს. აი სამივე ეს მიმდინარეობა ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი მოდიან „კომუნისტ ბალშევიკების“ დროშის ქვეშ მენშევიკების წინააღმდეგ. ამ შეიარაღებულ გამოსვლებში ს.-ფედერალისტები ჩვენთან არიან, ეს ერები ვითომ ნეიტრალიტეტს იცავენ, და უფრო მათი სიმპატია ბრბოსკენაა. თუ რამ გამოიწვია ეს ამბოხება, მშვიდობიან შრომის-მოყვარე სამეგრელოში, ვინ რომელ ღმერთს ემსახურება და თუ რაა ამის ძირითადი მიზეზი, ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

ვახო—მუშა.

## ალი მარდანბეკ ტოპჩიბაშევთან

ბაირამის უკანასკნელ დღეს ჩემ უფროს ვექილს, ალი მარდანბეკ ტოპჩიბაშევს ვესტუმრე.

— ოჰო, კეთილი იყოს მობრძანება— თავისი მოფერებით ღიმილით შემხვდა ის: სულ მთლად დაგავიწყდით,

— ძვირფასო ალი-მარდანბეკ, მე მეგონა, თუ ეხლა თფილისში იქნებოდით, თქვენ ხომ მაღალ ადგილზე ხართ დანიშნული!

— გამაგებიეს, მაგრამ ავათ ვარ... ბავშვიც ავათ მყავს, ენვერი.

— ეხლა თქვენი იქ ყოფნა აუცილებელია.

— აგრე გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ.

— მე თუ არ ვარ დარწმუნებული?

— საკვირველია! ამიერ-კავკასიის მაჰმადიანებში თქვენზე უფრო განათლებულსა და პატივით შემოსილ კაცს ვერა ვხედავ. განა ყველანი ვალდებულნი არ არიან დღეს მთელი თავისი ძალა, ცოდნა და ავტორიტეტი მიიტანონ საერთო საქმის სამსხვერპლოზე?

— ჰმ! საერთო საქმის...

— რასაკვირველია.

— მაგრამ, თუ ყველანი სხვადასხვა მხრით ეწევიან, როგორც კრილოვის არაკის გედი, ქარიყლაპია თევზი და კიბო?

— თქვენ, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის სამი ერი გყავთ მხედველობაში.

— სრულებითაც არა. მე მყავს მხედველობაში ამ სამი ერის ასოცდასამი პარტია.

— ნუ თუ ასინი, ვისთვისაც მართლა ძვირფასია ხალხის ინტერესები, დღესაც ვერ იპოვიან საერთო ენას?..

— იმედი იკარგება.

— უნდა გავიმეორო, თქვენი ადგილი დღეს თფილისშია! დღეს, როდესაც ოსმალო კარს მოგვდგომია...

— განა ეს ასე დიდი უბედურებაა?

— ალი-მარდანბეკ! ნუ თუ ამაში იჭვი გაქვთ თქვენ, რომელიც ერთ დღესაც ვერ გასძლებთ უელექტრონოდ, უტელეფონოდ? ნუ თუ კიდევ შეგიძლიათ შეურიგდეთ ველურ ოსმალოს თქვენ, რომელმაც ნახეთ რევოლიუციის ნახევარი წლის დიდება მაინც!

— და წლის მეორე ნახევარის დაცემაცა და სირცხვილიც! განა ოსმალეთი არც ისე ველურია, როგორც თქვენ წამოგიდგენიათ.. წავიდეთ, ჩაი დავლიოთ.

ავდექით. მაგიდა სავსე იყო თხილებით, ხილით, ტკბილეულობით.

— ჩვენი სტუმარი დარწმუნებულია, რომ ეხლა მე თბილისში უნდა ვიყო,— მიმართა მან მეუღლეს.

— ჰოო, ალი-მარდანბეკ ავათაა, არ შეუძლია...

ამ დროს დარეკეს ტელეფონით.

— მე მეძახიან, უნდა წავიდე, მაგრამ თქვენ უნდა დარჩეთ ჩემ ოჯახობასთან, უამბეთ რამე, ადრე დავბრუნდები.

ის წავიდა. ბავშვი ძლიერ ავათ იყო, მთელი ოჯახი სწუხდა. მოვიდა ექიმი. მე აღარ დავუცადე ალიმარდანბექის დაბრუნებას.

ბაქოს საშინელ ამბების შემდეგ ის ბალშევიკებმა დაატუსაღეს. შემომითვალეს და წავედი მისი ოჯახობის სანახავათ, მაგრამ ბ. ტოპჩიბაშევის სიდედრის მეტი სახლში არავინ დამხვდა, დახიზნულიყვნენ. უკანასკნელმა ალიმარდან ბექის ნახვა არ გამიპირდა: „არაფერი იფიქრონ; მისი თანაშემწე ხარ და კიდევ ქართველი, თუმცა, როგორც ვიცი, თქვენ კარგი პირადი განწყობილების მეტი არა გაერთიებთ რა; თქვენი რწმენა და მისი მიმართულება—ეს ორი სხვადასხვა პოლიუსია. მაგრამ ალი-მარდან ბექს უყვარს ქართველები კარგს იზამთ, თუ სატუსაღოსთან გაივლით. ალი მარდანბექი მუდამ ფანჯარასთანაა, დაგინახავს, გამარჯობას ეტყვით—გაუხარდება. მინდა მივმართო ბალშევიკებსა და სომხებს, განთავისუფლონ ალი-მარდანბექი. ტოპჩიბაშევი ციხეში უფრო საშიშარია მათთვის. ჩვენი ხალხი შეურაცხყოფასა და დამცირებას არავის აპატიებს. კმარა რაც მოხდა: ტოპჩიბაშევის წვალება ცეცხლზე ნავთს გადაარებს. უკეთესი იქნება ალი-მარდანბექს სთხოვონ დაამშვიდოს ხალხი. გამაცილეთ ჯაყელთან, მინდა ვნახო!“

მე გავაცილე, ამის შემდეგ, არც ალიმარდას ბექი მინახავს, არც რომელიმე მისი ოჯახის წევრი, გადმომცეს კი—ტოპჩიბაშევი განთავისუფლებულიაო.

ადერბეიჯანის მთავრობა უმისოთ ძნელი წარმოსადგენია.

ალფა ცისკარიძე.

## ქალაქის საბჭო.

8 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

კრების გახსნის შემდეგ თავმჯდომარე ერთხელ კიდევ მოაგონებს ხმოსნებს დანიშნულ დროზე მოვიდენ საბჭოში.

განსახილველია მთელი რიგი საკითხებისა. წინა სხდომაზე საბჭომ დაადგინა დღევანდელი სხდომა მოხმარებოდა მხოლოდ მიმდინარე წლის ქალაქის ხარჯთაღრიცხვის განხილვას. ქალაქის თავის ნ. ელიავას წინადადებით საბჭო იხილავს წინასწარ რამოდენიმე საკითხს, რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ხარჯთ-აღრიცხვასთან.

ნ. ელიავა საბჭოს უკეთებს მოხსენებას მთავრობისაგან მიღებულ ქაღალდის შესახებ. სათბობ მასალის ნაკლებობის გამო ყველა გასათბობი დაწესებულებები დაიხუროს (11 საათზე ახალი დროით, ახალი დაწესებულებები არ გაიხსნას ქალაქის ნებადაურთველად. ტრამვაის მოძრაობა შეწყდეს საღამოს 8 საათზე, ყველა სასადილოები, რესტორანები და ასეთები, რომელთაც საღამოს 7 საათის შემდეგ უფლება აქვს ვაჭრობის უნდა დაიკეტოს ღამის 11 საათზე. ქალაქის თავი აცხადებს, რომ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილ იქნას საღამოს 8 ნახ. საათზე. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. საბჭომ მოხსენება მიიღო.

გამგეობის წევრი კონიევი საბჭოს უკეთებს მოხსენებას მილიციის შესანახ ფულების შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, 1 მარტიდან 1917 წ. მილიცია გადასულა ქალაქის განკარგულებაში, ქალაქის ხარჯზე. წინეთ ქალაქის პოლიციის ნახევარს მთავრობა ინახავდა სახელმწიფო ხარჯზე. დღესაც, ამბობს მომხსენებელი, ქალაქმა შუამდგომლობა უნდა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ მან მილიციის პირადი შემადგენლობის შესანახათ გადადვას 75 პროც. თუ ამას შეუძლებლად დაინახავს მთავრობა, მაშინ ქალაქი დაკმაყოფილდება 50 პროც. ეს მით უფრო სამართლიანია, რომ მილიცია ქალაქის საქმეების გარდა ასრულებს საერთო სახელმწიფოებრივ ფუნქციებსაც. საბჭომ მცირე კამათის შემდეგ გამგეობის მოხსენება მიიღო.

საბჭომ დაადგინა საოლქო სასამართლოს წევრს სულიევს აღმოუჩინოს 6000 მან. ერთდროული დახმარება 20 წლის სამსახურისთვის.

საბჭო გადადის ხარჯთ აღრიცხვის საკითხზე, მოხსენებას აკეთებს საგანგებოდ მოწვეული გამგეობის ყოფილი წევრი.

სმირნოვი: რომელიც აღნიშნავს რა ყველა იმ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ელობება ქალაქის მეურნეობას, ამბობს, რომ იდეალური ბიუჯეტი მაშინაა მხოლოდ, როცა ხარჯის გამღები მიიღებს ყველა იმას, რისთვისაც ის გადასახადს იხდის. დღევანდელი მდგომარეობა კი ქმნის ისეთ აუტანელ პირობებს, რომ იდეალური ბიუჯეტის შედგენა კი არა, უბრალოც ვერ მოგვიხერხებია. ის, რაც უნდა წარმოგვედგინა წარსული წლის ოქტომბერს, ვადგენთ დღეს. ფულის კურსის დაცემა, მუშა ხელის ნაკლებობა, მასალის უქონლობა და კიდევ მრავალი დაბრკოლებები ხელს უშლის ძლიერ საქმის ნაყოფიერებას. მეტის მეტ ცუდ პირობებში ხდება უძრავ და მოძრავ ქონებებზე დაწესებული გადასახადების აკრეფა. ამავე დროს ზედმიწევნით დიდი ხარჯები აწვება ქალაქს მოსამსახურეთა შტატების შესანახად, მილიციის ხარჯი კი უდრის ბიუჯეტის ერთ მეხუთედს. ამიტომ ჩემის ღრმა რწმენით საჭიროა ზოგიერთ ხარჯების შემოკლება და სამაგიეროდ საექიმო დახმარებისა და სწავლა-განათლებაზე საჭიროა ხარჯის გადიდება. ამ მხრივ ბიუჯეტი ისე არაა შედგენილი, როგორც ეს საჭიროა. მდგომარეობა ხარჯების გადიდებას მოითხოვს.

თუ ჩაუკვირდებით მთელი შემოსავალი ორ ნაწილათ იყოფა: 1) შემოსავალი უფლებრივი ქალაქის ქონებიდან მიღებული, რომელიც 12 მილიონამდე ადის და 2) შემოსავალი, რომელიც შეიძლება გადიდდეს ეს უძრავ ქონებაზე დაწესებული ლეგალური შემოსავალი 15 მილიონამდე ადის.

გასავალიც კიდევ 2 ნაწილად იყოფა: კონიუკტურული ხარჯი, რომელიც მოსამსახურეთა შტატების შესანახად იხარჯება და სავალდებულო, რომელიც მილიციაზე, ცეცხლის მქრობ რაზმზე, წყალსადენზე და სხ. იხარჯება. ამ ხარჯის შემცირება შეუძლებელია.

თუ ჩვენ უძრავ ქონების შემოსავალს ხუთჯერ გავადიდებთ, მაშინ ეს მთელი თავისი სიმძიმით მოქალაქეებს დააწვება, საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენმა დაწესებულებებმა, წყალსადენმა და სხვებმა დეფიციტი არ მოგვცეს. თუ ყველა ეს დაწესებულებები დეფიციტს იძლევა ეს იმიტომ, რომ ძველმა საბჭომ გვიანდერძა აწეწილ-დაწეწილი საქმეები. ჩვენ მშვენიერი პროექტები გვაქვს წყალსადენისა, სასალახოსი, მაგრამ მოკლებული ვართ საშუალებას მის განსახორციელებლად. ქალაქის ელექტრონის სადგური არავითარ სარგებლობას არ იძლევა. ქალაქში 42 კერძო ელექტრონის სადგურია, ამავე ტიპით შექმნილი, ქალაქის საელექტრონო სადგური მათ კონკურენციას ვერ უწევს.

ლეგალური შემოსავალი ნავარაუდევია 7 ნახევარ მილიონამდე, ხარჯები კი თორმეტ მილიონამდე, რომ ეს ხარჯები რამენაირად დაიფაროს მხოლოდ სესხის აღებაა ერთათ-ერთი საშუალება.

ხანდანოვი (კად.) სმირნოვის მოხსენებას უკეთებს ზერელე და დაუსაბუთებელ კრიტიკას. არსებითად ის საკითხს არ ეხება და ესალმება მუნიციპალურ სოციალიზმის განხორციელებას.

სმირნოვი თავის უკანასკნელ სიტყვაში უპასუხებს ხანდანოვს და მის ჯგუფს. ორატორი აღნიშნავს ხანდანოვის უბადრუკ კრიტიკას და ამბობს, რომ ამის შემდეგ ამ ბიუჯეტის მუხლობრივ განხილვის დროს იმედი მაქვს არც ერთი მუხლი არ იქნება დარღვეული.

ამით დასრულდა ბიუჯეტზე საერთო კამათი. ხარჯთაღრიცხვის მუხლობრივი განხილვა გადაიდვა შემდეგი სხდომისათვის.

აკ. ხ—უა.

## საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფი

ამ ბოლო დროს ძლიერ ბევრს სწერენ ფოსტა ტელეგრაფის უწყების შესახებ, რაიც უტყუარი მაჩვენებელია იმის, რომ ეს მუდამ „უპატრონო ეკლესია“ ხნის გზაზეა შემდგარი და მალე განთავისუფლდება შესეულ „ეშმაკებისაგან“. ფოსტა და ტელეგრაფი უმთავრესი ნერვია სახელმწიფოსი, ხშირად გაიგონებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრობა გული უნდა იყოს, საიდანაც გაწმენდილი სისხლი უნდა ეგზავნებოდეს ყველა ნერვებს. სამწუხაროთ ეს ასე არ ყოფილა თავიდან და არც ახლა არის.

ჯერ იყო და კარიერისტი მამულია ჩაუყენეს უწყებას სათავეში და ამით ლამის დაღუპეს მთელი ფოსტა-ტელეგრაფის უწყება. მერე წამოასკუპეს ოლქის სათავეში მასალკინი, რომელმაც გაიჩინა თანაშემწეებათ გერმანოვიჩი და აგარონოვი კომისარის თანაშემწის პოსტზე. ამ უკანასკნელმა შექმნა თფილისის ტელეგრაფში ისეთი მდგომარეობა, რომ ვერც ერთი ქართველი მოხელე ვერ გაანძრევდა საააპარატოში ხელს ისე, რომ მას არ სცოდნოდა. სამაგიეროთ, სულ სხვა მდგომარეობაში იყვნენ არა ქართველები. საიდუმლო კრებები, „ზაპისკების“ მუდმივი გადაცემა და მიღება ყოველი მხრიდ ნ, სხვათა შორის, დუშეთ-კავკავიდან, პირდაპირი მავთულებით ლაპარაკი, მხოლოდ ისე, რომ აპარატთან უეჭველად სომეხი უნდა მჯარიყო (თუ სხვა ვინმე იჯდა შესცვლიდენ) და მრავალი სხვა დამახასიათებელი მოქმედებანი სრულიად ნებადართული იყო აგარონოვის მიერ და, როგორც ბოროტი ენები ამბობენ თვითონაც მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. ხედავდი და გული გიკვდებოდა, რომ არავინ იყო პატრონი. მერე თუ ასე იყო, სად იყავით, რატომ არ შეატყობინეთ ვისაც ჯერ იყოვო, იკითხავს მკითხველი. ალბათ მკითხველმა არ იცის, როგორ ექცევა „ვისიც ჯერ არს“ ასეთ „დანოსს“. იყო შემთხვევა, რომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება აქ აწერილი უწესოების შესახებ; მოხსენება შემუშავებული იყო ღია კრებაზე და ზედ 25 მდე კაცს ეწერა ხელი. მთავრობამ ეს მოხსენება კამისარსვე გამოუგზავნა „გასარჩევათ“. კამისარმა ჩაიგდო ხელში ერთი ხელისმომწერთაგანი და ქუჩური ლანძღვა-გინებით და მუშტების ქნევით გაუმასპინძლდა; ბოლოს დაემუქრა კიდეც: ასეთ ხალხს იარაღით უნდა გასწორებაო. ამას შემდეგ კიდევ შეიძლება „ვისიც ჯერ არს“-ზე იმედის დამყარება?

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის პირველმა ყრილობამ დიდი სარგებლობა მოიტანა იმ მხრივ, რომ იქ გამომჟღავნდა ბევრი რამ დაფარული; ყველასათვის ნათელ შეიქნა სულის კვეთება ცალკე ჯგუფებისა და პიროვნებათა, რომლებიც ყრილობაზე გამოდიოდენ. სხვათა შორის განსაცვიფრებელი იყო ის ერთსულოვნება, რომელიც სუფევდა ყრილობაზე კამისრებსა, ბალშევიკებსა, დაშნაკცაკნებსა და მონარქის რუს მოხელეებს შორის. ყოველთვის ერთი მეორის დამცველათ გამოდიოდენ და თავგამოდებით ებრძოდენ ყრილობის უმრავლესობას, რომელიც მთავრობის პოლიტიკას ადგა.

ეს ერთსულოვნება ჯერ კიდევ არ დარღვეულა და გადმოტანილ იქმნა უწყების სამმართველოში, სადაც კამისარი მასალკინი ამართლებს მის მიერ ნათქვამს „სოციალისტურ“ სიტყვას ყრილობაზე, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს ყრილობას. მართლაც მასალკინი სრულიად დაენდო პოხვისნევის მოხელეებს და არა თუ დაენდო თითონაც მათზე უარეს უზურპატორობას სჩადის. კავშირის გამგეობასთან დანასისხლათ არის, არაფერი მასთან საერთო არ სურს, როგორც რომელიმე ნიკოლოზის ბიუროკრატს. ასე ემსახურება „სოციალისტი“ თავის იდეას.

თუ დროზე არ იქნა გატარებული მთავრობის მიერ ყრილობის დადგენილებები მართვა-გამგეობის რეორგანიზაციისა და ნაციონალიზაციის შესახებ უწყებას დაღუპვა მოელის. ნაციონალიზაცია კიდევ მისთვის არის საშური, რომ რომ იგი თავიდან მოაშორებს უწყებას ნიკოლოზის ბიუროკრატებს, რომლებიც მასალკინის წყალობით არა თუ არ კლებულობენ რიცხვით, პირიქით, იზრდებიან. თემები ყალბზე უდგება დაბალ მოსამსახურეებს, როცა გებულობენ, რომ უწყების სამართველოს დაუბრუნდა გამოჩენილი შავრაზმელი ზახაროვი; რომელიც პოხვისნევის დროს ცნობილი იყო; გარდა ამისა, მასალკინი ცდილობს როგორმე გაავსოს უწყება თავის ერთგული ხალხით და მიუხედავათ ბრძანების შტატების შემცირების შესახებ, განუწყვეტლივ ღებულობს ახალ მოსამსახურეებს და ისედაც ღარიბ ხაზინას უთხრის ძირს.

კმარა, ბატონებო, კმარა! ხათრი პოლიტიკაში დამღუპველია. გადაჭრილი ნაბიჯებია საჭირო! მასალკინი არ არის თავის ადგილზე.

აიხ.

## საად.-მამულო რეფორმა

7 მარტის კანონის ძალით კერძო საკუთრების მიწები უნდა გადავიდეს სახალხო კუთვნილებათ. ეს მხარე კანონისა ამ ახლო ხანში სისრულეში მოვა, არავითარი დიდი დაბრკოლებები არ ელობება წინ. გარდა იმ მემამულეებისა, რომლებსაც ერთმევა, ხალხის დიდი უმრავლესობა სიხარულით ეგებება ამ კანონს. ბევრი რამ შეპირდენ ხალხს და არაფერი არ მისცენ. მაგრამ როდესაც უკვე ხედავს, რომ კომისიები მუშაობენ, პრაქტიკულათ შეუდგენ საქმეს, ეხლა კი იმედი მიეცა და ამისათვის სამტრედიის რაიონში, ხალხი დიდ დახმარებას უწევს კომისიებს. რამოდენიმე კვირა და ამ რაიოში, მსხვილი მამულების ჩამორთმევა დამთავრდება. ჯერ ჯერობით დარჩება წვრილები ვისაც 30 ქცევამდე აქვს და ცოტა მეტიც. ჩემის მოსაზრებით ამ წვრილი მამულების ჩამორთმევა ცოტა ხნით რომ შეჩერდეს კარგი იქნება სხვადასხვა პოლიტიკური და პრაქტიკული მოსაზრებებით. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ არ გამოირკვევა, რა სახის ორგანიზაციები იქნება ამ მიწების მომწესრიგებელი. არ კმარა მარტო მიწები ჩამოერთვას მემამულეებს. გეკითხებიან, ვის უნდა გადაეცეს? კომისიები უხსნიან, რომ ეს მიწები გადადის თქვენს, ხალხის კუთვნილებათ. მაგრამ ამას კი პრაქტიკულათ ვერ ხედავს ვერ ხედავს იმ ორგანიზაციებს, იმ კომიტეტებს, ვისაც უნდა ებარებოდეს ეს მიწები. კომისია უხსნის, რომ ასეთი კომიტეტები დაარსდება და ამისათვის ჯერ ჯერობით კი ებარება ადგილობრივ ორგანიზაციებს; აღმასრულებელ კომიტეტს, კომისარს, საზოგადოების წარმომადგენელთ და სხვა. ამ უკანასკნელებზე ხალხს დიდი ხანია გული წაუხდა და ამ ახალ კომიტეტებს კი ვერსად ხედავს, ამისათვის ეჭვიც ეპარება და პროვოკაციის ანკესსზედაც ადვილათ ებმება. ხალხი მოითხოვს, რომ ჯერ პატრონი ე. ი. კომიტეტები მოგვეწყო და მერე მიწები ჩაგვებარებინა მათთვის, რადგან საჭიროა ყურის გდება, რომ არ გააფუჭონ და არ გააჩანაგონ ჩამორთმეულ მიწებზე გაშენებული ბუნებრივი თუ ხელოვნური კულტურა. როგორც ხედავთ, ასეთ ორგანიზაციების მოწყობის შესახებ ჯერ არავითარი განკარგულება არ არის, ძლიერ საჩქარო კია. ამ ორგანიზაციებს უნდა თავის დირექტივები, კანონებით რასაკვირველია, მაგალითად ყოველ დღე გეკითხებიან: 1) რა გადასახადი იქნება შეიძლება მემამულემ უფრო იაფად მომცესო? 2) მე ადგილი არა მაქვს ეხლა მინდა, რომ დავესახლო, შემიძლია თუ არა ვყიდო ადგილი და თუ ყიდვა-გაყიდვა მოისპო, სად შემიძლია რომ დავესახლოო? 3) საკუთრებათ შემიძლია შევიძინო ადგილი თუ არაო? ეს კითხვები, რასაკვირველია, დიდ დაფიქრებას და გარკვევას მოითხოვს, მაგრამ აი სადღეისო, დღიური კითხვები, რომლის შესახებ განკარგულება დიდი ხანია უნდა მომხდარიყო. ეს კითხვებიც არ არის შემუშავებული. კანონში არის ნაჩვენები, რომ დღიდან მიწების ჩამორთმევისა, ადგილები გადადის კომიტეტის განკარგულებაში. მემამულეს არავითარი უფლება არა აქვს. ეხლა უკვე პურები იჭრება, დღეს ეს პურები გადავიდა კომიტეტის განკარგულებაში, რომელიც ჯერ არ არსებობს, ყველა გეკითხება: ვაძლევთ თუ არა მემამულეს თავის წილს, როგორც ვიყავით გარიგებული და მოლაპარაკებული—თუ არ ვაძლევთო? თუ ვაძლევთ, რა წილს? ხარისხებათ იქნება დაყოფილი თუ არა. ისეა მომავლისათვის სიმინდის ყანებიც? მემამულეს წელს მხოლოდ გაცემული ქონდა ადგილები, მოელოდა ღალას ის 7 დესეტინა კი, როგორც მოგეხსენებათ, ფართო ცხოვრება უყვარდა და მთლად ეზოს უნდება, მინდორი ყვავილნარი, ბაღი და სხვა ასე რომ, დათესილი ყანები მას აღარ დარჩა. ამ შემთხვევაში კომიტეტი როგორ უნდა მოიქცეს ან მემამულემ რა ჰქნას, ვის მიმართოს? აი სადღეისო კითხვები, რომლებიც დაუყოვნებლივ გარკვევას და გადაჭრას მოითხოვს, თორემ დიდ საფრთხეს მოვიმზადებთ; მემამულეები მიწის ჩამორთმევაზე იმდემათ არ არიან შეწუხებული როგორც ამ წლის სარჩოს ჩამორთმევაზე. აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს აქ წამოყენებულ კითხვებს სულ ახლო ხანში.

მიშა პატარიძე.

## თფილისის განმანაწილებელი პუნქტი.

დაიწყო საერთაშორისო ომი თუ არა, თფილისშიც იშვა ეგრედ წოდებული განმანაწილებელი პუნქტი. სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ ეს განმანაწილებელი პუნქტი უბედურ ვარსკვლავზე შეიქნა დაბადებული. თავიდანვე ვერ იყო მისი საქმე სასურველ ნიადაგზე მოწყობილი. თავიდანვე ეტყობოდა პუნქტს მრავალი ნაკლი, მაგრამ აბა ვინ გამოვიდოდა და გაბედავდა შენიშვნის გაკეთებას. ბბ. მინასიანცებისა და ვესელოვზოროვებისათვის. მუშებიც ხომ იტანჯებოდა ასეთ ბატონების ხელში, მაგრამ ამ ჟამათ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უწინდელზე უფრო დღეს განიცდიან მუშები შევიწროებას და ტანჯვა-ვაებას ქალაქთა კავშირის წყალობით. ჯერ იყო ფულის აღება შეუძლებელი შეიქნა ქალაქთა კავშირიდან. ჯერ არ გვახსოვს რევოლიუციის შემდეგ ქალაქთა კავშირის მოსამსახურეებს ჯამაგირი ისე აგვიანოს, რომ ან დელეგაციის გაგზავნა არ დაგვჭირებოდეს როგორც დაჭრილთა კომიტეტში, აგრეთვე შრომის მინისტრთან, ან გაფიცვის გამოცხადება. ჯამაგირების მომატებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია, აბა როგორ მოგიმატებს მუშებს ჯამაგირს თავისი კეთილი სურვილებით, თუ თვითონ მუშებმა არ გამოითხოვეს ყური თავისი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლათ. მართალია, დაჭრილთა კომიტეტის თავმჯდომარე ცნობილი სოციალისტია, ასე თუ ისე კომიტეტის შემადგენლობა უფრო პროგრესიულ პირთა წრეს ეკუთვნის, ვინემ ეს იყო რევოლიუციამდე, მაგრამ არც ამ პირებს გაუკეთებიათ მუშებისათვის არაფერი. ეს რომ მართალია, სჩანს იქიდან, რომ დღეს არც ერთ ქარხანაში, არც [illegible] ბაზში ისეთი [illegible] არავის, როგორც თფილისის განმანაწილებელ პუნქტში. დაბალი მოსამსახურენი ღებულობენ თვეში 200—220 მანეთამდე. ამ ორას მანეთმა უნდა უქირაოს მუშას ოთახი, რომელშიც უნდა მისცეს თვეში 50 მანეთი. უნდა იყიდოს ნავთი, თვეში 15 მანეთის მაინც, უნდა იყიდოს შეშა წყალი და ყველაფერი ის რაც აუცილებელი საჭიროებას შეადგენს მუშებისთვის. როგორ უნდა ეყოს მუშებს ორასი მანეთი თვეში, როდესაც 300—400 მანეთი ჩექმაში უნდა მისცეს. ტრამვაის ტარიფი ხომ 300 და 400 პროცენტით გაადიდეს; თვითეულ მუშას პუნქტში მოსვლა უჯდება თვიურათ 40—45 მანეთი. განმანაწილებელ პუნქტში მომუშავე მუშების ამ კრიტიკულ მდგომარეობას კარგად გრძნობს ქალაქთა კავშირი და თვით ქალაქის თვითმართველობა, მაგრამ ერთხელაც არ წამოადგენიათ, იქ მუშები გაჭირვებას განიცდიან ჯამაგირების სიმცირის გამო და დაეხმარონ მათ. პირიქით, ჩვენს მოთხოვნილებას ყურადღებას არავინ აქცევს და პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს არც ქალაქთა კავშირმა და არც ქალაქის თვითმართველობამ. რადგანაც დღეს პუნქტი იკეტება, ასე გვეუბნებიან—რა დროს ჯამაგირების მომატება არის, როდესაც პუნქტი იკეტებაო. მაგრამ ნუ დაავიწყდებათ ნურც დაჭრილთა კომიტეტს და ნურც ქალაქის თვითმართველობას, რომ ჩვენ ვთხოულობთ მომატებას იმ დროიდან როდესაც თვით ქალაქის თვითმართველობამ გაადიდა ტრამვაის ტარიფი. ჩვენ თუ დავაგვიანეთ და იმ დღიდანვე ე. ი. 24 მარტიდანვე არ მოვითხოვეთ ჯამაგირების მომატება და არ წარუდგინეთ ულტიმატური მოთხოვნილება დაჭრილთა კომიტეტს, ეს ჩვენი ბრალი არ არის, რადგანაც ჩვენ ანგარიშს უწევდით როგორც ქალაქთა კავშირის, აგრეთვე ჩვენი არჩეული მთავრობის კრიტიკულ მდგომარეობას. მართალია, არც ახლა არის უზრუნველყოფილი ფინანსიურის მხრით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა, მაგრამ ამით ჩვენ არ შეგვიძლიან ვიხელმძღვანელოთ, იმ დროს, როდესაც მუშებს ითხოვენ.

დიახ, ჩვენ მუშები, ანგარიშს ვუწევდით მომენტის სირთულეს, მაგრამ როდესაც დღეს ჩვენ ვართ კრიტიკულ მდგომარეობაში და ვსაჭიროებთ ანგარიშის გაწევას, ჩვენ არავინ არ გვაქცევს ყურადღებას.

ჩვენ ვიცით, რომ პირველ აპრილიდან ლაზარეთში, № 40, რომელიც ქალაქის ხელში გადავიდა, მოსამსახურეებს მოუმატეს 120 მანეთი თვეში, მაშ, რა დავაშავეთ ჩვენ, განმანაწილებელ პუნქტის მოსამსახურეებმა? ნუ თუ ის არის ჩვენი დანაშაული, რომ გაჭირვების და კრიტიკულ მომენტში ყოფნის დროს ყელში არ ვიცით დაჭრილთა კომიტეტს? რითი განირჩევა ლაზარეთი № 40 და განმანაწილებელი პუნქტი ერთი მეორესაგან? კარგათ იცის დაჭრილთა კომიტეტმა და თვით ქალაქის თვითმართველობამ, რომ პუნქტი და ლაზარეთი № 40 ორივე „ზარაზათ“ იქნა ცნობილი, როდესაც კომისია იყო ამაზე დანიშნული. მაშ, ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ მარტიდან დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აუცილებლათ. ამას მოითხოვს უბრალო სამართლიანობა. აგრეთვე დათხოვნილ მუშებს უნდა ეძლეოდეს ჯამაგირი მანამდის, სანამ მათთვის არ გაუსწორებიათ სავსებით ანგარიში.

მუშებს არ შეუძლიათ დათანხმდენ იმაზე, რომ პირველი ივლისიდან ჯამაგირი მოუსპონ და ხვედრი ფულიც ვერ მიიღონ. მუშებს არც იმაზე შეუძლიათ დათანხმება, რომ ფულის მაგივრათ საანგარიშო წიგნაკები მიიღონ, რადგანაც ყოველი უალაგო მუშა ალაგის საშოვნელათ მიეშურება სხვადასხვა ქალაქებში და როგორ შეუძლია თვე და ორი თვე წიგნაკით იაროს ამა თუ იმ ფოსტა კანტორაში ფულის ასაღებათ.

საჭიროა პუნქტის მუშებს სერიოზული ანგარიში გაუწიოს როგორც დაჭრილთა კომიტეტმა, ისე ქალაქის თვითმართველობამ და პირნათლად გაუსწორონ მათ ანგარიში.

ნ. ჯიხაიშვილი.

## ხოლერა თფილისში

ხოლერამ თფილისში თავი იჩინა ეს არც საკვირველია დღევანდელ პირობებში. თფილისს აუარებელი ხოლერით დაავადმყოფებული ლტოლვილები შემოაწყდა. თვით ქალაქში კი ამ დროს დიდი უსუფთაობაა გამეფებული თუ ეს ასე გაგრძელდა, ქალაქს დიდი საშიშროება მოელის. დღეს თუ დღეში 4—5 ადამიანი ხდება ხოლერის ნიშნებით ავათ, ხვალ ათობით და ასობით უნდა ველოდეთ. ეს მით უმეტეს მოსალოდნელია, რადგან დღეს თფილისში ან სულ არ იმყოფება სანიტარული რაზმი, ან თუ იმყოფება, ის ვერ დგას თავის სიმაღლეზე და ვერ ასრულებს თავის მო-

ვალეობას პირნათლად. ჯერ არავის ახსოვს თფილისს შემოხიზნოდეს ისეთი მრავალრიცხოვანი ლტოლვილები, როგორიც არის დღეს. და ამასთანავე არავინ მოსწრებია ისეთ უსუფთაობას, როგორიც არის ეხლა. დღეს ქალაქი და მისი მცხოვრებნი ჭუჭყში იხრჩობიან. განსაკუთრებით ანტისანიტარულ მდგომარეობაშია შემდეგი ადგილები: ავლაბარი და კახეთის ქუჩა გახლავთ ნამდვილი სიბინძურის სამეფო და მომავალი ხოლერის ბუდე. ამ ქუჩაზე მცხოვრებ პირებს არ ჰყავთ მეეზოვე და, თუ ვინმეს ჰყავს, ისიც არაფერს აკეთებს; შემდეგ ნავთლუღის რაიონი, სადაც ცხოვრობენ ლტოლვილები და ორთაჭალის მთელი მიდამო, მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ იმის შემდეგ, როდესაც ისეთ მთავარ ქუჩებს, როგორიც არის ელისაბედის, ნიკოლოზის და სხვა ჩაბინძურებულია და არ აქცევს არავინ ყურადღებას. სად არის ასეთ დროს სანიტარული რაზმი? არსებობს თუ არა ის? და თუ არსებობს, რას აკეთებს? ხოლო თუ არ არსებობს, აუცილებლად ქალაქის თვითმართველობამ დაჩქარებით უნდა მოაწყოს იგი და მიიღოს ყოველგვარი ზომები ქალაქში სისუფთავის აღსადგენად, რათა ამ საშვალებით ააცდინოს მცხოვრებთ ხოლერის რისხვა. ამ გარემოებას ეხლავე დაჩქარებით უნდა ყურადღების მიქცევა, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

ნ. ჯ—ლი.

## მუშათა შორის

### ტფილისელ მუშებს.

ამხანაგო მუშებო, პროფესიანალურ კავშირების წევრნო!

რუსეთის რევოლიუციამ მოგცათ თქვენ 8 საათის სამუშაო დღე მისთვის, რომ თქვენ შეძლება გქონდეთ დანარჩენი დრო შესწიროთ საზოგადოებრივ მუშაობას, თავის განვითარებას და მოსვენებას.

რუსეთის რევოლიუციამ მოგცათ თქვენ კრების თავისუფლება და ეხლა თქვენც შეგიძლიათ ისე როგორც სხვებს უფლებიან კლასებს ისარგებლოთ კულტურის და განათლების ყოველივე პირობებით.

თავის უმაღლეს მიზნების მისაღწევათ თქვენ უნდა მიმართოთ ყოველივეს, რაცკი თქვენ საშვალებას მოგცემთ მიაღწიოთ მას. დეე ეხლა ზეკავშირებულ მუშათა ლოზუნგათ გახდეს:

ცოდნა ლოთობის მაგივრად!

მით უმეტეს, რომ ჩვენი დასავლეთელ ამხანაგების გამოცდილებამ მოგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ მუშას ყოველივე ცოდნით, თავის ინტერესების და მიზნის ნათლად შეგნებით შეუძლია დაამარცხოს ყოველივე დაბრკოლება და გაამაგროს თავისი მდგომარეობა.

იარეთ მუშათა კლუბში, ჩაეწერეთ წევრათ!

მუშათა კლუბი მოგცემთ თქვენ აუცილებელ ცოდნას, მუშათა კლუბში თქვენ იპოვით გონებრივ გასართობებს და მოსვენებას.

მუშათა კლუბი გაგაცნობთ თქვენ დრამატიულ საუკეთესო ნაწარმოებს და მუსიკალურ ხელოვნებას.

მუშათა კლუბი მისცემს საშველებას თქვენს შვილებს ითამაშონ და გაერთონ.

გაეშურეთ თქვენს კლუბში. მიიღეთ აქტიური მონაწილეობა მის მუშაობაში. მუშათა კლუბს შეუძლიან არსებობა და აღორძინება მხოლოდ თვითონ მუშების დახმარებით და თანაგრძნობით.

გაუმარჯოს მუშათა კლუბს!

გაუმარჯოს მუშათა თვითმოქმედებას!

გაუმარჯოს პროლეტარულ კულტურას.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ქ. თფილისისა. წევრათ ჩაწერა შეიძლება მუშათა კლუბში (მიხეილის პროსპექტი № 65, სახლი კარაპეტიანცისა).

ექვსი საათიდან რვა საათამდე.

## პროვინცია

**ძ. სურამი.** ამ ორი თვის განმავლობაში აქ ოთხი ბოროტმოქმედება მოხდა: ორჯერ ცეცხლის გაჩენა და ორჯერ კაცის კვლა. ცეცხლის გაჩენას ორივე შემთხვევაში ბოროტგანზრახვით ხსნიან, მაგრამ დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს. დაახლოვებით ამ ორი თვის წინ, საათის ცხრაზე თავის სახლში მოჰკლეს აქაური სასტუმრო „იალტის“ პატრონი თეიმურაზ ნოდია, იმ დროს, როცა ის თავის პატარა ოთახში რაღაც ანგარიშებს სწერდა, მკვლელი დღესაც აღმოუჩენელია. საზოგადო აზრმა იცის ვინ არის მკვლელი, მაგრამ გამომძიებლისთვის საჭიროა, რომ მკვლელმა თვითონ სთქვას, რომ მან მოჰკლა, ან სხვებმა უთხრან ჩვენ ჩვენი თვალებით დავინახეთ ამან და ამან მოჰკლა ეს კაცი, წათამამებული სხვასაც აღეძრა სურვილი ბოროტების ჩადენის და აკი მოხდა მაინც მაისის 29 საზიზღარი მკვლელობა. ღამის ორ საათზე კურტანიძის ოჯახს შევუვარდა „ვიღაც“ ყაჩაღი და ყელები დასჭრა თვითონ კურტანიძეს, მის ცოლს და 16 წლის ბრმა ქალს. ვაჟი კურტანიძის, ნასალდათარი შაქრო კურტანიძე, გარეთ გამოვარდა, მორთო ღრიალი, თოფის სროლა, გვიშველეთ ყაჩაღები დაგვეცენ და დაგვხოცესო და მითომც როცა კარში გამოვარდა და ღობეზე გადახტა თითქო ფეხიც იღრძო. გამომძიებელი რიჟამაძე მოვიდა, შეადგინა ოქმი: აწერა თუ რანაირად ეყარენ ყელებ დაჭრილნი, ვის რამდენი ჭრილობა ქონდა და გაუდგა გზას. ან მეტი რა უნდა ექნა. მაყურებელი მკვლელობის დროს არავინ აღმოჩნდა და თვითონ როგორ უნდა აღმოეჩინა მკვლელი! მაგრამ სწორეთ ამ დროს დაარსდა სურამში დაცვის კომიტეტი, რომელმაც თავის წრიდან გამოჰყო საგამომძიებლო კომისია, სთხოვა ამ კომისიაში მონაწილეობა მიეღო თვითონ რიჟამაძესაც და ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს მ. ორჯონიკიძეს. ეს კომისია შეუდგა გამოძიებას. დაცვის კომიტეტის დადგენილებით დატყვევებულ იქნა შვილი კურტანიძის შაქრო კურტანიძე, რომელსაც საზოგადო აზრი ეჭვს სდებდა და ფეხიც ნაღრძობი არ აღმოაჩნდა. სამი დღის შემდეგ შ. კურტანიძე გამოტყდა, რომ მან დასჭრა ყელები ნაჯახით მამას, დედინაცვალს და ბრმა დას (გერს—დედინაცვლის ქალს). ნაჯახი გასისხლიანებული და ტარმოტეხილი მიწაში ჩაფლული იპოვნეს. დამნაშავე გადაეცა გორის სარევოლიუციო ტრიბუნალს. ხალხმა მოითხოვა, რომ დამნაშავე ადგილობრივ, ე. ი. სურამში გაესამართლებინა ტრიბუნალს და აი, 16 ივნისს გაირჩა ეს საქმე ქ. სურამში თვითმართველობის დარბაზში. ვეებერთელა დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, რომლის მესამედიც ვერ მოთავსდა დარბაზში და გარეთ უცდიდენ.

თავმჯდომარე ტრიბუნალის ეკითხება კურატიძეს, სცნობს ის ის, თავის თავს დამნაშავეთ თუ არა და რამ გამოიწვია მისგან ასეთი ბოროტების ჩადენა? კურტანიძე დამნაშავეთ სცნობს თავის თავს და ამბობს, რომ მას ჯერ კიდევ პატარაობიდან დასცინოდენ მეზობლის ბიჭები და ხშირად დიდებიც, რომ ის შვილია იმგვარი კაცის, რომელიც თავის რძალთან ცხოვრობსო. ბოლო სამი წელიწადი შაქრომ სალდათში გაატარა და როცა დაბრუნდა სახლში ცოლი შეირთო. შაქროს იჭვი აღეძრა მამისადმი ცოლზე. ამის გარდა მამა ვითომდა ემუქრებოდა შვილებს, ყველაფერს მის ქონებას თავის ცოლს და გერს დავუმტკიცებ თუ ჩემი ურჩი იქნებითო. უფროსი ძმა ცოლ-შვილით ამ ბოლო დროს მცხეთაში ყოფილა და იქ მუშაობდა.

შაქრომაც თავის ცოლი მკვლელობის ჩადენის ორი დღის წინ მცხეთაში გაისტუმრა; მკვლელობის წინ, საღამოს ხუთ საათზე მამასა და მას უსიამოვნობა მოსვლიათ „და აი ამემღვრა სისხლი, ვეღარ მოვითმინე დამცირება და დავხოცეო“, დაამთავრა „და არც ვნანობ ამასაო“ დასძინა. შემდეგ ფორმალური მხარეების დასაკმაყოფილებლად ტრიბუნალი შეუდგა მოწმეების და ექსპერტების (ექიმების) დაკითხვას.

უკანასკნელად კურტანიძე ამბობს: „მე ტრიბუნალს ვსთხოვ: ან დამხვრიტოს, ან სულ გამანთავისუფლოსო“. ტრიბუნალმა დამნაშავეთ სცნო კურტანიძე და გადაუწყვიტა ყოველივე ღირსების აყრა და სამუდამო კატორღა. დამნაშავე გაგზავნილ იქნა გორის ციხეში და იქიდან გაგზავნილ იქნა თფილისში.

ამ დღეებში ბ-ნმა რიჟამაძემ თავის თანამდებობა გადასცა ბ-ნ უსპენსკის და თვითონ სადღაც წავიდა, ამბობენ აქედან გადავიდა კახეთშიო. სხვა ადგილზე გადასვლა, თუ სამსახურის თავის დანებება ეს მისი საკუთარი საქმეა, ხოლო, რაც შეეხება თანამდებობის უსპენსკისათვის ჩაბარებას, ეს, ვისიდაც ნებართვით არ უნდა იყოს, არ არის დასაშვები და აი რატომ: უსპენსკი ბრძანდება ძველი რეჟიმის შავრაზმული მოღვაწე, „ჭეშმარიტი რუსიი“ კავშირის ყოფილი წევრი და როგორც აგრეთს, ჯერ კიდევ დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს, გორის სამაზრო კომისარიატმა უნდობლობა გამოუცხადა და თავმჯდომარეობა არ ანდო, რის გამო ბ-ნი უსპენსკი, სამსახურიდან გადადგა.

დღეს კი ბ-ნი რიჟამაძე ამ გვარ პირს თავის თანამდებობას აბარებს და ეს უკანასკნელიც კისრულობს. მართალია, ამბობენ, ამ ბოლო დროს ბ-ნი უსპენსკი „საცოციალისტობს“ და ასე გასინჯეთ გაზეთ „ბორბასაც“ კი კითხულობსო, მაგრამ ჩვენ მაინც, ვამტკიცებთ, რომ ის თავის ადგილზე არ არის და დაუყონებლივ უნდა ჩამოერთვას თანამდებობა, სხვაც რომ არა იყოს რა, თუნდაც ქართული ენის უცოდინარობისთვის მაინც. ამისდა მიხედვით სურამის რაიონის დაცვის კომიტეტმა უკვე გამოიტანა დადგენილება—ითხოვოს მთავრობას ბ-ნი უსპენსკი განთავისუფლებულ იქნას გამომძიებელის თანამდებობიდან.

---

როგორც ვიცით, ჩვენს დამოუკიდებლობას ბევრი მტერი გამოუჩნდა. აშკარა მტრები აჯანყებას აწყობენ და ჩუმი მტრები ქურდბაცაცობენ, მტაცებლობენ სხვადასხვა სახით, ფლანგავენ და ხრავენ სახელმწიფო ქონებას. ამ გვარ ვაჟბატონებს არა რცხვენიათ იმისი, რომ უსაქმოთ არიან და მუქთახორობენ, მაგრამ იმასაც ფიქრობენ, რომ ადრე თუ გვიან „ხაზეინი“ მოუსწრებს მსუნაგებს და... და სანამ ეგ არ მომხდარა, რის შიშმა ვერ მოუსწრიათ, ჰყიდიან ფლანგვენ ან ცეცხლს უკიდებენ. ერთს ამ გვარ დაწესებულებათაგანს წარმოადგენდა, აწ უკვე განსვენებული მე-160 ზურგის საევაკუაციო პუნქტი, ამ დაწესებულებაში, რომელიც სურამში მარტში გადმობარგდა ყვირილიდან, მსახურებდენ 40 კაცი: ექიმები, მათი ცოლები, მოწყალების დებათ ჩაწერილნი, რასაკვირველია, მათი ქმრებისაგან, ფერშლები, სანიტარები, საწყობების მმართველნი და სხვადასხვა „გამგენი“, კანცელარია; კამანდა: ამ ადამიანთა ხროვაზე რამოდენიმე ათეული ათასები იხარჯებოდა თვეში და საქმე კი არაფერი კეთდებოდა, რადგანაც გასაკეთებელიც არაფერი ქონდათ: ოთხი თვის განმავლობაში ერთი ავათმყოფიც არ ყოლიათ. ამ გარემოებამ მიაქცია ყურადღება სურამის ქალაქის თვითმართველობამ. საბჭომ დაადგინა: მიენდოს გამგეობას თვალყური ადევნოს და გაფლანგვას გადაარჩინოს სახელმწიფო ქონება და თუ საჭიროთ დაინახოს დროებით დაკეტოს პუნქტის საწყობები და შეატყობინოს მთავრობას საქმის ვითარება. მაგრამ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა გაჭიანურდა რამოდენიმე კვირით და ფლანგვა კი გრძელდებოდა, ამისათვის, თვით საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ამავე დროს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეც არის, წითელი გვარდიის შტაბის უფროსის ამხ. მეტრეველის დახმარებით სისრულეში მოიყვანა საბჭოს დადგენილება, რაც დაუყონებლივ აუწყა სამხედრო მინისტრს, რომლის განკარგულებითაც სრულიად გაუქმდა ეს ახირებული დაწესებულება: დანიშნა მიმღები კომისია, რომელმაც უკვე ჩაიბარა ქონება. რაოდენობა ქონებისა 1 მილიონის ღირებულებას აღემატება.

სანდამან.

---

**ბორჯომი.** ბორჯომის ლტოლვილთა კომიტეტი თუმცა ენერგიულათ მუშაობს, მაგრამ ეს მუშაობა მეტად ცუდ პირობებში უხდება. მუშაობას აფერხებს ის, რომ არაფერი არ იშოვება, და რაც იშოვება, იმის შეძენაც დიდ გაჭირვებას წარმოადგენს. პირველი კითხვა აქ პურია, რომელიც თითქმის სრულებით არ იშოვება.

ამ ცოტა ხანში ლტოლვილთა კომიტეტის სახელზე შემოვიდა ლტოლვილთა დასახმარებლათ სამტრედიიდან 100 მან. ხონიდან 100 მან., თფილისიდან 210 მან., რომელთაც კომიტეტი დიდ მადლობას უცხადებს. მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ შემომწირველნი ფულის მაგიერ სადაც ეს შესაძლებელი იქნება, პურს ან სხვა რაიმე სურსათს გამოუგზავნიდენ ლტოლვილთა კომიტეტს. ამით ისინი დიდ დახმარებას და სამსახურს გაუწევდენ ბორჯომის ხეობის ლტოლვილებს.

სხვასთან შედარებით ბორჯომის ხეობის მდგომარეობა აუწერელია. ყველასათვის ცხადია, რომ ბორჯომის ხეობა უმოსავლო ადგილია: აქ ხალხი მხოლოდ თივით და ხე-ტყის წარმოებით ცხოვრობს, ამასთანავე სხვა რაიონიდანაც მეტად ძვირად შემოაქვთ ჭირნახული. ათი დღე გადის, რაც სასურსათო კომიტეტს ქ. ბორჯომში ფქვილი არ დაურიგებია. ხალხი სიმშილს განიცდის. ეს გარემოება კი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ბნელ პირებს და პროვოკატორებს დამშეული ხალხი პროვოკაციის ქსელში გააბან და გამოიწვიონ ცხინვალის და დუშეთის მგზავსი ამბები. სამწუხაროდ ამ პროვოკატორების ქსელში ებმება შეუგნებელი გლეხები და ზოგიერთ ადგილობრივ ქარხნების მუშებიც. აი მაგალითათ: 2 ივლისს ერთ ვიღაც აფიცერს შეეკრიბა რამოდენიმე აქაური სოფლის მუშა. ს. ბანისხევთან და ბალშევიკების სახელით ელაპარაკებოდა, რომ ჩვენ მოვდივართ რუსეთიდან და თქვენ მზათ იყავითო; ამიერ კავკასიის მთავრობამ, რომ მიწა ჩამოართვა მემამულეებს, ის მიწები უნდათ თქვენ ფულით მოგყიდონ, ხოლო ჩვენ თუ შემოვედით აქ მამულებს უფასოთ დაგირიგებთო და სხვ.

საჭიროა ასეთ პროვოკატ. წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული. ამასთანავე გვწამს, რომ შეგნებული მუშები და გლეხები არ წამოეგებიან ასეთ პროვოკატორების ანკესზე, რადგან ისინი კარგათ იცნობენ დღევანდელ ჩვენს მთავრობას, როგორც ნამდვილ ხალხის ინტერესების დამცველს.

კ. დინჯაძე.

## ცნობები

21 ივნისს აბასთუმნიდან ჩამოიყვანეს ქუთაისშიდა მოათავსეს სამხედრო საავადმყოფოში შემდეგი დაჭრილი ჯარისკაცები. 1) ქ. ყ. ზენაიშვილი, დაჭრილია მსუბუქათ მარცხენა ფეხში და ყურში. 2) ო. ი. ფირცხალაშვილი, დაჭრილია მარცხენა ხელში, მძიმეთ. 3) ვ. ი. მამალაძე, დაჭრილია მარჯვენა ხელში მსუბუქათ, 4) ნ. ს. ფირცხალაშვილი, დაჭრილია მარცხენა ხელში მსუბუქათ. 5) ვ. ი. ორაგველიძე, დაჭრილია მარჯვენა ბეჭში მსუბუქად. 6) ს. ა. კვაჭაძე, დაჭრილია მარცხენა მკლავში მსუბუქად. 7) ვ. კილაბერია დაჭრილია ორივე ფეხებში მძიმეთ. 8) ე. ი. ჭედია, დაჭრილია მარჯვენა მკლავში მძიმეთ. 9) ე. ა. ეცადეშვილი, დაჭრილია მარცხენა ხელში მსუბუქად. 10) ვ. ი. თედოზაშვილი, დაჭრილია მარჯვნით კისერზე მსუბუქად. 11) ი. მ. ჭელიძე, დაჭრილია მარცხნით შუბლში მსუბუქად. 12) ს. გ. თავართქილაძე, დაჭრილია მარჯვნით თავში მსუბუქად. 13) გ. ა. გაგუა, დაჭრილია მარცხენა ხელში მძიმეთ. 14) ფელდფებელი ნ. კ. მჟავია, დაჭრილია მარჯვენა მკერდში მძიმეთ. 15) მ. კ. დეისაძე, დაჭრილია მარცხენა ფეხში მძიმეთ. ამასთან იმყოფება 8 აპრილს ჩოლოქის ბრძოლაში დაჭრილი მძიმეთ მარჯვენა ფეხში ანდრო კ. ჟორდანია.

პრაპორშჩიკი. ტ. ჭედია.

---

ამბრეკი გაბრიელის ძე ლაბახუა მსახურობდა ასტარის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში ფოსტალიონად, რომელიც ორ თებერვალში ჩამოვიდა ბაქოში და იქიდან გვაცნობა, რომ აქ იმყოფებოდა. 8 მარტამდი მქონდა ცნობა. შემდეგ არაფერი ვიცით. ვთხოვთ თუ ვინმემ იცის მისი თავგადასავალი გვაცნობოს შემდეგი მისამართით: სადგური ქვალონი ელისაბედი ლაბახუასი.

---

ჯარისკაცნი ვასილ თედორეს ძე და დავით ერმინეს ძე ტყემალაძენი მსახურებდენ ქ. ბათუმში პირველ ქართულ მსროლელ პოლკში მეხუთე როტაში. ბათუმის დაცემის შემდეგ მათმა მშობლებმა მათ შესახებ ვეღარაფერი გავიგეთ და თუ ვინმემ რამე იცოდეს ვსთხოვთ შეატყობინოთ ქ. ქუთაისში მასწ. ნიკიფორე ტყემალაძეს.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ 139 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ლავრენტი ნათინაძის (იგივე ამანათაშვილი) წერილი საბურთ. ალმას. კომიტეტის წინააღმდეგ. ავტორი „მიწასთან ასწორებს“ ალმ. კომიტეტს, როგორც „სიმართლეს მოკლებულ ხმების და ჭორების გამავრცელებელს“ და დასძენს, რომ „ასეთ პირებს მით უმეტეს ამ ხანაში, არსად არ უნდა ჰქონდეს ადგილიო“. ჩვენ ვამტკიცებთ. რომ ავტორის მთელი წერილი სიყალბეა!

ჯერ ერთი, რომ „ერთობის“ მე-131 ნომერში მოთავსებული წერილი არ ეკუთვნის საბ. ალმ. კომიტეტს, როგორც ამას რიხით აცხადებს ავტორი; ის წერილი და მაში მოთავსებული რეზოლიუცია ეკუთვნის საბურთალო-ახალშენის მოწინავე მუშათა კრებას, რომელიც შესდგა ადგილობრივ თეატრში 24 ივნისს. ეს წერილშიაც ნათლათაა აღნიშნული და არ ვიცით, თუ რათ დასჭირდა ავტორს ეს სიყალბე! შემდეგ ამანათაშვილი ამტკიცებს, რომ კონტრ-რევოლიუციონერი არა ვარო და მოყავს სამი საბუთი: 1) გიორგის ჯვრები და მენდლები მაქვსო, 2) დღეს ერთგულათ ვემსახურები საგუბერნიო კომისარიატსო (თუ კომისარს?! ს. მ.), 3) საბურთალოზე ვცხოვრობ და ბევრი მიცნობს, როგორც არა მავნე პირსო. ჩვენ გიპასუხებთ: 1) ნიკოლოზის დროს მიღებული ჯვარ-მენდლები ვერა კარგი მანდატი რევოლიუციონერობის დასამტკიცებლათ (კორნილოვს 7 გიორგის ჯვარი ჰქონდა, სუხომლინოვს კიდევ მეტიც). 2) ვერც საგუბერნიო კომისართან „ტელოხრანიტელათ“ და „სტოროჟათ“ ერთგული სამსახური დაამტკიცებს ვისმეს რევოლიუციონერობას; 3) რაც შეეხება საბურთალოს მცხოვრებლების ღამოწმებას, ეს სულ რომ არ გეხსენებიათ, ბ-ნო ლავრენტი, ისა სჯობდა! თქვენი საწინააღმდეგო რეზოლიუცია სწორეთ საბურთალო-ახალშენის მოწინავე მუშათა კრებამ გამოიტანა და როგორ მოხდა, რომ არც ერთმა მათგანმა არაფერი იცოდა თქვენს რევოლიუციონერობაზე?

ბაგანაშვილს თქვენ ეფექტისათვის ეხებით, თორემ თქვენ ხომ იცით და წერილშიაც ხომ იყო აღნიშნული, რომ აქ ბრალი ედება სარიბეგოვს. თქვენდა ბაქრაძე-მახვილაძის ინცინდენტის შესახებ თქვენ აცხადებთ: „ეს კერძო დავა იყო. მახვილაძის მხრივ გამოწვეული კერძო ინტერესების გამო და აქ კონტრ-რევოლიუციონური აზრები არ წარმოთქმულაო“. ყველა ეს მტკნარი სიცრუეა! კომიტეტმა მეორე დღესვე მოახდინა ამის შესახებ გამოძიება, დაჰკითხა მოწმეები და გამოირკვა სულ წინააღმდეგი. სწორეთ თქვენ აუტეხეთ ჩხუბი ბაქრაძეს და მახვილაძეს, რადგან ალ. კ-ტმა თქვენ ძმას იარაღის უკან დაბრუნების ნებართვა არ მისცა. ალმ. კ-ტი სხვაფერ ვერც მოიქცეოდა რადგან იარაღი თქვენ ძმას, სოლომონ ამანათშვილს, თვით ხალხმა აჰყარა რევოლიუც. პირველ დღეებში (1917 წელს 7 მარტს) პრისტავის პაგონებთან ერთათ. თქვენ კი უშვერი სიტყვით დაუწყეთ ლანძღვა კ—ტის წევრებს. ბაქრაძის შენიშვნაზე, რომ თქვენ და თქვენ ძმას იქ არ გეყვირათ და პასუხი მოგეთხოვათ სადაც ჯერ არს, თქვენმა ძმამ პრისტაულათ უპასუხა: „მე კ—ტის წევრთ სილებით გაუსწორდები, მათ ყველას კბილებს ამოვამტვრევო“ და კიდეც მიიწია საცემრათ მახვილაძეზე. ხოლო იყო შეჩერებული ბაქრაძის და მღვდლის მიერ. თქვენ, ბ-ნო ლავრენტი, მთელი ამ ინციდენტის დროს უშვერ სიტყვებით ლანძღავდით კ—ტის წევრებს და რევოლვერზეც კი გიტაცნიათ ხელი, როგორც ამას ამოწმებს ერთი დამსწრე, არა-კომიტეტის წევრი. აი სწორეთ ამან გამოიწვია საბურთალოს ახალშენის მოწინავე მუშათა ზიზღი თქვენდამი!

თქვენ და თქვენი ძმა, სხვა ბნელ ძალებთან ერთათ მუდამ ებრძოდით ალმ. კ—ტს. ასევე იქცევით თქვენ წერილში, სადაც ამბობთ: „მინდა გავიგო საბურთ. არსებობს თუ არა ალ. კ—ტიო. როგორც მეზობლებისგან მესმის ის უკანონოთ არჩეულიაო და სხვ. ჩვენ გიპასუხებთ 1) რომ საბურთ. კ—ტი არსებობს ეს თქვენ და თქვენ ძმაზე უკეთ არავინ იცის, რადგან ალ. კ—ტის დანიშნულებაა ბნელ ძალებთან ბრძოლა და თუ არა ვცდები, არა ერთხელ მოგხვდათ მისი მათრახი თქვენ და თქვენ ძმასაც. 2) რაც შეეხება მოარულ ლეგენდას, რომ ალ. კ—ტი უკანონოთა არჩეულიო, ჩვენ ეს მხოლოდ მოლას და ფლავის არაკს გვაგონებს. ეს ლეგენდა ხომ თქვენ წრეებშია. შეთხზული და რომელ „მეზობლებს“ იმოწმებთ ლაფაჩიძის ძმა-ბიჭებს გარდა? საბურთალოს დემოკრატიას კი ალმ. კ—ტის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რაც არა ერთხელ დაამტკიცა აქაურ მოწინავე მუშათა კრებამ, სადაც მუდამ იწონებდენ ალ. კომიტეტის მოქმედებას და უცხადებდენ მას მადლობას და სრულ ნდობას.

დაბოლოს მოგვყავს ერთი პატარა ცნობა: კერძო ლაპარაკის დროს, როდესაც თქვენ და თქვენი ძმა იარაღის შესახებ ეკამათებოდით კ—ტის წევრებს კირკაშიძეს და ბაგანაშვილს, თქვენ, ბ-ნო ლავრენტი, ბრძანეთ: „კაცო ახლა რომ ასე გვეჭერთ ხელს კისერში (იარაღს არ ვაძლევთ პრისტავს ს. მ.), ძველმა მთავრობამ რომ გაიმარჯვოს ხომ ჩვენც უნდა წავგიჭიროთ ხელი ყელშიო“. ჩვენში ამაზე იტყვიან ხოლმე „ინამ უყიელაო“, ჩვენც მეტი არა გვეთქმის-რა! თქვენი წერილი ძლიერ მოკლე ფეხებიან სიყალბეზეა აგებული. ვერა გყოლიათ კარგი ვექილი.

საბურთალოს აღმასრულებელ კომიტეტის მონდობილობით **ს. მიხელიძე.**


**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის** შინაგან საბავშვო, საგებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. **უფასოთ** იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ბარიატინსკის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—76

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კლდიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ დღეს 12—2 საათამდე.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**მკ. ქალი რ. ბ. შიშლო-საგაშვილისა**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ **ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით** და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
**ექიმ დონხინისა.**
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

## შაქარი

ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეების შაქრის გაყიდვა ქალაქის დუქნებში დაიწყება ამა წ. 8 ივლისიდან დანარჩენ ადგილებში 15 ივლისამდე შაქარი მიეცემათ ყველა იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ივნისის წილი არ მიუღიათ. მსურველთ ნება აქვთ სამი თვის შაქარი წინდაწინ ერთბაშათ გამოიტანონ. შაქარი გაიყიდება ამა წლის 5 ივლისს ქამგეობისაგან დაწესებულ ნიხრის თანახმათ:

შაქარი რაფინადი . . . . 1 მ. 50 კ. გირვ.
შაქარი ფხვნილი . . . . 1 „ 42 „ „

ვისაც ივნისის თვის შაქარი ჯერ კიდევ არ მიუღია, მას შეუძლია 15 ივლისამდე შაქარი ძველი ნიხრის თანახმათ მიიღოს. (3—2)

მოითხოვეთ სამკურნალო
## ბორჯომის წყალი
ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით“) მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

**მისამართი:** ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი“. (15—8)

## განცხადება
სასურსათო განყოფილების, ტყავის განყოფილება აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათს, 11 ივლისიდან დილის 9—1 საათამდე ფირმა „პროვოდნიკში“ (სოლომონის ქ.) სასურსათო ბარათებით გაიყიდება ქ. თფილისის მცხოვრებლებთათვის საშუალო ზომისა ფეხსაცმელი „სანდლები“ „სკოროხოდის ფირმისა. (3—3)

## თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება
სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი
## კურსები
**მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში** მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.


მშრომელ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.